# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 13 დეკემბერი 2006 №288 (2910) ფასი 50 თეთრი


## კაცი, რომელიც გვენატრება...

### გუშინ კახი ასათიანი 60 წლისა შესრულდებოდა





## პირველი ქართველი უკრაინულ ფანჯარაში

### ჯაბა კანკავა სამი წლით დნიპროს წევრია



## ლოკომოტივი დინამო




დღეს ეროვნული სარაგბო ჩემპიონატის ფინალია. სამ საათზე „შევარდენზე" ერთმანეთს ხუთგზის ჩემპიონი „ლოკომოტივი" და ფინალში პირველად გასული „დინამო" ხვდებიან და ერთადერთ პროგნოზად იმას გეტყვით, რომ თამაში ჯიგრიანი, უკომპრომისო და უფრო ხარისხიანი იქნება, ვიდრე „შევარდენის" საფარია. ვინც დეკემბრის სუსხს არ შეუშინდება და დღეს სტადიონს ეწვევა, დიდად ისიამოვნებს შინაური რაგბით. ფინალამდე კი მცირე ფინალია: პირველ საათზე ეროვნული ბრინჯაოსთვის ერთმანეთს „ყოჩები" და „ლელო" შეებმებიან.





# გუშინ კახი ასათიანი 60 წლისა შესრულდებოდა...

დიდი ფეხბურთელი, თბილისის „დინამოს“ მწვრთნელი, სპორტკომიტეტიდან მოყოლებული, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე... ფეხბურთელი, რომლის თამაშსაც ალტაცებაში მოჰყავდა ყველა, ვინც კი ფეხბურთის ფასი იცის; ფეხბურთელი, რომელსაც მოედანზე თავადს ადარებდნენ; პიროვნება, ვისაც დღემდე უამრავი ადამიანი ემადლიერება.

კახი ასათიანს ოთხი წლის წინ თავის მანქანაში ესროლეს...

გუშინ კი მისმა ოჯახმა და მისივე სახელობის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდმა, რომლის პრეზიდენტიც მერაბ ჟორდანიაა, ხოლო ვიცე-პრეზიდენტები მაკა ასათიანი და ვალერი ჩოლარია, ამ კაცის თაყვანისმცემლებს ძვირფასი საჩუქარი გაუკეთა — 150-გვერდიანი, ილუსტრირებული, ბევრი ცნობილი ადამიანის მოგონებებით სავსე წიგნი — „კახი ასათიანი“.

წიგნის პრეზენტაცია კახი ასათიანის დაფუძნებულ „მერსედესის“ ცენტრში შედგა.

...იყო ცრემლი, მოგონება, ის პატივისცემა, რითაც ამ კაცმა საზოგადოებას თავი დაამახსოვრა... მადლობა მათ, ვინც ეს წიგნი გამოსცა, მადლობა კარგი და საშვილიშვილო საქმისთვის.

# არსად მივდივარ

## კობახიძეს მეორე წრის იმედი აქვს



**თბილისის „დინამოს“ მარცხენაფლანგელი სანდრო კობახიძე ერთ-ერთი გამორჩეულია ეროვნულ ჩემპიონატში. ურუგვაისთან ამხანაგურ მატჩში კობახიძემ ეროვნულ ნაკრებშიც ითამაშა და ჩვენი საუბარიც სწორედ სანაკრებო დებიუტით დაიწყო...**

— ურუგვაი საკმაოდ ძლიერი გუნდი იყო, თუმცა გამარჯვება ძალიან გვინდოდა, ყველამ მოვინდომეთ და ეს შევძელით კიდეც. ძალიან მიხარია, რომ მწვრთნელი მენდო და მათამაშა, რისთვისაც მისი მადლობელი ვარ. იმედი მაქვს, კლაუს ტოპმიოლერი კიდევ გამომიძახებს ნაკრებში.

**— „დინამოზე“ გადავიდეთ. პირველი წრე ოდენ მეხუთე ადგილზე ჩაამთავრეთ...**

— ის, რომ ახლა ცხრილში მეხუთე ადგილზე ვართ, არაფერს ნიშნავს. ვფიქრობ, „დინამოს“ წარუმატებლობა დროებითია და მეორე წრეში აუცილებლად მოვუმატებთ.

**— თავიდანვე შემტევი ნახევარმცველი იყავი?**

— შეტევებში ჩართვა ყოველთვის მიყვარდა. ისე კი, ადრე სხვა პოზიციებზეც მითამაშია.

**— აქა-იქ ითქვა, კობახიძე „დინამოდან“ მიდისო...**

— უახლოეს მომავალში გუნდის გამოცვლას ნაღდად არ ვაპირებ — „დინამოში“ ყოფნით კმაყოფილი ვარ. აქ ყველანაირად მიწყობენ ხელს...

**— საქართველოს ჩემპიონატზე რას იტყვი?**

— მართალია, ისეთი არაა, როგორც საჭიროა, მაგრამ ჩემი აზრით, აუცილებელია, გარკვეული ხნით აქ ითამაშო. ჩემპიონატის ხარისხი ისევ ჩვენზეა დამოკიდებული. სასურველი იქნება უცხოელი ფეხბურთელების ჩამოყვანაც და ისიც, რომ კლუბები წელგამართულნი იყვნენ.

**სალომე ხარატიშვილი**

# გახოკიძე კარიერის წკიპზე

## კიდევ თუ გამიმეორდა...

**გოგა გახოკიძე** კარიერის დასრულებასთან ახლოსაა და თუ მოკლე ხანში კიდევ გაუმეორდა ტრავმა, სხვა გზა აღარც დარჩება. წლეულს ქართველ ნახევარმცველს, ფაქტობრივად, არ უთამაშია...

გოგას ჰოლანდიაში დავუკავშირდით, მაგრამ დიდად საამო ვერაფერი გვითხრა...

„ახლა ტკივილები აღარ მაქვს. სირბილი დავიწყე, ინდივიდუალურად ვვარჯიშობ, მაგრამ ბურთს ჯერ არ ვეკარები. გუნდს როდის შევუერთდები, ჯერ არ ვიცი. ექიმები ზუსტ პასუხს ვერ მეუბნებიან. ეს ტრავმა ერთი თვის წინ მივიღე: მეორე გუნდში თამაშისას მყესი გამიწყდა, ათი დღე ფეხზე ვერ გავიარე.“

ხშირად ხდება, როცა კლუბი ფეხბურთელს ფორსმაჟორულად მკურნალობს, რათა მალე გაიყვანოს მინდორზე. გახოკიძე თავის ყოფას ამ ფაქტორს ნაკლებად აბრალებს: „ადრე მართლაც მქონდა დაჩქარებული კურსები, მაგრამ ამჟამად „ტვენტეს“ ექიმებს თავად ვერ გაურკვევიათ, რა მჭირს.“

გოგამ გვითხრა, თუ კიდევ ვერ მოვირჩინე ტრავმა ან ისევ გამიმეორდა, სხვა გზა არ არის, ხელს ჩავიქნევ კარიერაზეო.

რაც შეეხება „ტვენტეს“ წარმატებულ სვლას: ენსხედელები ერედივიზიონში მეოთხე ადგილზე არიან, ბოლო 8-9 მატჩი კი განსაკუთრებულად ძლიერად ჩაატარეს. გახოკიძეს არც უკვირს, 3-4 ფეხბურთელით გაძლიერდა „ტვენტე“, თანაც მწვრთნელიც კარგი გვყავსო.

**ილია ნანოგაშვილი**



**შოტლანდია**

მესამე დივიზიონი
გადადებული მატჩი

ისტ სტირლინგი — ბერვიკი

გადაიდო

**ინგლისი**

ასოციაციის თასი
II ეტაპი. გადათამაშება

ბესინგსტოკი 1:3 ალდერშოტი
ბორნმუთი 0:1 როვერსი
ჩესტერი 1:3 ბერი
დონკასტერი 2:0 მენსფილდი
ლეიტონი 1:2 ტორკი
მილუოლი 1:0დ.დ. (0:0) ბრედფორდი
ნოტინგემი 2:0 სალისბერი

საფეხბურთო კლუბი „ვიტ ჯორჯია“ სამძიმარს უცხადებს
კლუბის პრეზიდენტ გურამ რუხაძეს მამის
**გივი რუხაძის**
გარდაცვალების გამო

ფეხბურთის კლუბი ამერი თანაგრძნობას უცხადებს
„ვიტ ჯორჯიას“ პრეზიდენტ გურამ რუხაძეს
**მამის**
გარდაცვალების გამო

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა თანაუგრძნობს
„ვიტ ჯორჯიას“ პრეზიდენტ გურამ რუხაძეს
**მამის**
გარდაცვალების გამო

სარბიელელები სამძიმარს ვუცხადებთ „ვიტ ჯორჯიას“
პრეზიდენტ გურამ რუხაძეს
**მამის**
გარდაცვალების გამო



სატრანსფერო ფანჯრისას კლუბებში ცვლილებები გარდაუვალი პროცესია და ამას თან სდევს ათასი ჭორ-მართალი. ერთი ასეთი ამბავი გუშინ შევიტყვეთ — თბილისის „მერანში“ მთავარ მწვრთნელ დავით ეჯიბიშვილის ნაცვლად ოთარ გაბელია ინიშნებაო. ცხადია, ეს ინფორმაცია თავად გაბელიასთან გადავამოწმეთ...



# გაბელია უარყოფს

## არც მერანი, არც ტორპედო...

— საქართველოში რომ ვერ გაიგებ, ისეთი რა უნდა იყოს. ჩემთვის არავის არაფერი უთქვამს და როგორ იგონებს ეს ხალხი ასეთ რამეებს, არ ვიცი.

— მარტო „მერანზე“ არ არის ლაპარაკი, ქუთაისის „ტორპედოზეც“ ითქვა...

— კიდევ უარესი. გუნდს მწვრთნელი ჰყავს და ნორმალურად თამაშობს. მისი შეცვლა ვისლა მოაფიქრდა?!

*ეჯიბიშვილის მოხსნა და გაბელიას დანიშვნა არც „მერანის“ პრეზიდენტმა დილარ ხაბულიანმა დაგვიდასტურა, თუმცა „მერანში“ სიახლეებს კი უნდა ველოდოთ...*

— ამ ეტაპზე გუნდში არანაირი ცვლილება არ არის, თუმცა არ უარვყოფ, რომ სიახლეები იქნება. შესვენებისას ეს ყოველთვის ხდება. ჩვენ გაცილებით ამბიციური გუნდის გაკეთება გვინდა და ამ შესვენებას აქტიურად გამოვიყენებთ. სამუშაო გეგმა უკვე გვაქვს. მართალია, ახლა კონკრეტულს ვერაფერს გეტყვით, მაგრამ გუნდი აუცილებლად გაძლიერდება. მეორე წრეში „მერანი“ საჩუქარი არავისთვის იქნება.

— მეორე წრეში ახალ სტადიონზე ითამაშებთ?

— სტადიონის გახსნა პირველ წრეშიც გვინდოდა, მაგრამ ერთი მატჩი იყო დარჩენილი და აღარ ვითამაშეთ. მეორე წრის პირველივე საშინაო შეხვედრას კი ახალ სტადიონზე ვუმასპინძლებთ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# NO VIOLENCE

## ლიტვაში ჩვენი ოფიცერიც გაიწვიეს

**ფეხბურთი** ძალადობის გარეშე — ვისაც ასეთი აზროვნება აქვს, 15-16 დეკემბერს ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსში სემინარს მართავს და მას საქართველოს წარმომადგენელიც დაესწრება — საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის და თბილისის „დინამოს“ უსაფრთხოების ოფიცერი გია ისიანი.

სემინარის ორგანიზატორები ევროსაბჭო, ლიტვის სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, ლიტვის ფეხბურთის ფედერაცია და საერთაშორისო ორგანიზაცია SPRINT არიან.

SPRINT აბრევიატურაა და ეს ორგანიზაცია სპორტის რეფორმით, განვითარებით და შესწავლითაა დაკავებული. ამ საერთაშორისო ორგანიზაციაში ევროპის 23 ქვეყანაა გაწევრიანებული და მათ შორის საქართველოც.

უსაფრთხოება, იურიდიული საკითხები და თანამშრომლობა საერთაშორისო დონეზე, პროფილაქტიკური ზომები, მუშაობა გულშემატკივრებთან — სემინარი ამ თემებზე გაიმართება.

**დავით თავართქილაძე**

# ურველო ბორჯომი

## კურორტელები ფეხბურთელებს და ფულს ეძებენ

საქართველოს ჩემპიონატის პირველ წრეში „ბორჯომის“ მთავარ მწვრთნელ ვლადიმერ ხაჩიძეს სამჯერ მოუხდა გუნდის გადაკეთებ-გადმოკეთება, რაც მეორე წრისთვის ერთხელაც მოუწევს. შეყრილაძეს, ქარქუზაშვილს, ბაქრაძეს, ლომიძეს, მოდებაძეს, ჯიქიას, მონგს და ნკემს კლუბთან კონტრაქტები დაუმთავრდათ და „ბორჯომიც“ ადგილობრივი, გამოუცდელი ბიჭების ამარა დარჩა. ამხელა დანაკლისის მიუხედავად, ვლადიმერ ხაჩიძე მაინც იმედიანადაა...



— აქაურების გარდა ყველა ფეხბურთელს კონტრაქტი დაუმთავრდა. მათთან ხელშეკრულების გაგრძელებას ვაპირებთ, მაგრამ ჯერ რაიონის ხელმძღვანელობის პასუხს ველით — დაფინანსების საკითხია მოსაგვარებელი.

— რაიონს აქვს იმის საშუალება, რომ გუნდი შეინახოს?

— ვისაუბრეთ და შეგვპირდნენ, რომ დაფინანსება გროშები ნამდვილად არ იქნება. რაიონს უნდა, რომ უმაღლეს ლიგაში გუნდი ჰყავდეს და ამისთვის საჭირო თანხასაც გამოყოფს.

— როდის უნდა გადაწყდეს ეს საკითხი?

— ამ კვირაში ყველაფერი მოგვარდება.

— თავისუფალი ფეხბურთელები მანამდე სხვა კლუბებმა რომ გადაიბირონ?

— ეს გამორიცხული არც არის. პირველ წრეში სამჯერ მოგვიხდა გუნდის გაკეთება, მაგრამ ურიგოდ მაინც არ გვითამაშია. „ბორჯომში“ კარგი ახალგაზრდები გვყავს, თუმცა რამდენიმე ფეხბურთელის დამატებასაც ვაპირებთ.

— კერძოდ?

— ყველაფერი ფინანსებზე იქნება დამოკიდებული. ვისაც შევწვდებით, იმას მოვიყვანთ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

## ჩვენი მეტოქეები

# საფრანგეთი საქართველოს სლოვაკეთით გააგრძელებს

**საფრანგეთის** ნაკრები 22 აგვისტოს ამხანაგურ მატჩს გამართავს სლოვაკეთთან — ამის თაობაზე ამ ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციებმა უკვე მიაღწიეს შეთანხმებას.

საფრანგეთმა და სლოვაკეთმა წლეულს უკვე ითამაშეს ამხანაგურად — 1 მარტს სლოვაკებმა მეტოქე „სტად დე ფრანსზე“ 2:1 დაამარცხეს.

აქვე გეტყვით, რომ საქართველოს ნაკრები ევროშესარჩევ მატჩში საფრანგეთს 6 ივნისს სტუმრობს.

**კახა შალამბერიძე**

# ბლოხინი ტოპია

**უკრაინის** ნაკრების მწვრთნელი ოლეგ ბლოხინი 2006 წლის ქვეყნის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელეს.

გამოკითხვა ორმა ჟურნალმა, „მატჩმა“ და „ტოპ-ფუტბოლმა“ ჩაატარეს და მასში 90-მდე გამოცემა და ტელეკომპანია მონაწილეობდა.

საინტერესოა, რომ ბლოხინის გვარი მხოლოდ ორ ანკეტაში არ ეწერა, სულ კი მან 259 ქულა დააგროვა და უზარმაზარი უპირატესობით აჯობა კონკურენტებს.

**კახა შალამბერიძე**

# თანამეგობრობის თასის მე-15 გათამაშების კალენდარი

**A ჯგუფი:** ცსკა (რუსეთი), აქტობე (ყაზახეთი), ბატე (ბელარუსი), რეგარ-ტადაზი (ტაჯიკეთი)

**B ჯგუფი:** ბაკი (აზერბაიჯანი), შერიფი (მოლდოვა), ლევადია (ესტონეთი), დორდოი-დინამო (ყირგიზეთი)

**C ჯგუფი:** შახტარი (უკრაინა), ვენტსპილსი (ლატვია), ბანანცი (სომხეთი), ფახთაქორი (უზბეკეთი)

**D ჯგუფი:** ოფკ (სერბეთი), მტტუ (თურქმენეთი), კაუნასი (ლიტვა), სიონი (საქართველო)

20 იანვარი. „ოლიმპიისკი“

14.00 ბაკი — შერიფი
16.00 ოფკ — მტტუ
18.00 შახტარი — ბანანცი
20.00 ცსკა — აქტობე

მანეჟი „დინამო“

14.00 ლევადია — დორდოი-დინამო
16.00 კაუნასი — სიონი
18.00 ფახთაქორი — ვენტსპილსი
20.00 ბატე — რეგარ-ტადაზი

21 იანვარი. „ოლიმპიისკი“

14.00 შერიფი — ლევადია
16.00 კაუნასი — ოფკ
18.00 ვენტსპილსი — შახტარი
20.00 ცსკა — ბატე

მანეჟი „დინამო“

14.00 ბაკი — დორდოი-დინამო
16.00 მტტუ — სიონი
18.00 ბანანცი — ფახთაქორი
20.00 რეგარ-ტადაზი — აქტობე

23 იანვარი. „ოლიმპიისკი“

14.00 ლევადია — ბაკი
16.00 სიონი — ოფკ
18.00 ფახთაქორი — შახტარი
20.00 რეგარ-ტადაზი — ცსკა

მანეჟი „დინამო“

14.00 დორდოი-დინამო — შერიფი
16.00 კაუნასი — მტტუ
18.00 ბანანცი — ვენტსპილსი
20.00 ბატე — აქტობე

24 იანვარი. „ოლიმპიისკი“

მეოთხედფინალი

ა) D ჯგუფის გამარჯვებული — C ჯგუფის მეორეადგილოსანი
ბ) B ჯგუფის გამარჯვებული — A ჯგუფის მეორეადგილოსანი
გ) C ჯგუფის გამარჯვებული — D ჯგუფის მეორეადგილოსანი
დ) A ჯგუფის გამარჯვებული — B ჯგუფის მეორეადგილოსანი

26 იანვარი. „ოლიმპიისკი“

ნახევარფინალი

ბ-ს გამარჯვებული — გ-ს გამარჯვებული
ა-ს გამარჯვებული — დ-ს გამარჯვებული

28 იანვარი. „ოლიმპიისკი“

14.00 ფინალი

# უბრალო ბიჭის გრძელი ზღაპარი

## დიდი დევნა

გოგუა 23 წლისაა. ის ემოციური და არასტანდარტულია, როგორც მინდორზე, ასევე მის გარეთ. გოგუათი უკვე ამბიციური კლუბები დაინტერესდნენ, თუმც თავად ფეხბურთელმა ჯერ არ იცის, სად გააგრძელებს კარიერას. ისე კი, სურვილი აქვს, რუსეთში დარჩეს.

გოგუა სეზონის ყველაზე მკაფიო აღმოჩენაა — სრულიად უცნობ ფეხბურთელს ერთი სეზონი ეყო ლაურეატობისთვის.

გოგუასთან დაკავშირება ძნელი აღმოჩნდა. ნალჩიკში ჩასულს მეგონა, იქ დამხვდებოდა, მაგრამ ქართველ ფეხბურთელს ყაბარდო-ბალკარეთი უკვე დაეტოვებინა. სიტუაციის გამოსწორება მხოლოდ ტელეფონის ორ ნომერს შეეძლო, თუმცა ქართული მობილური კავშირის ოპერატორმა კიკაბიძისა და ფიროსმანის ენაზე რომ მიპასუხა, თარგმანის გარეშეც მივხვდი: გოგიტა გაქრა.

მხსნელად ნალჩიკელთა მწვრთნელი სერგეი ტრუბიცინი გამომიჩნდა. იური კრასნოჟანის თანაშემწეს თავად გოგუამ დაურეკა და თბილად მოიკითხა. ნომერი ჩავიწერე და მაშინვე გადავურეკე. ყურმილში ჯერ მელოდია „აღმოსავლური სიყვარული" გაისმა, შემდეგ კი გოგიტას ხმა...

## რუსეთი თუ თურქეთი

— აღმოსავლური მუსიკა მობილურში — თურქეთში გადასასვლელად ხომ არ ემზადებით?

— არა, თურქეთისთვის ჯერ არ ვემზადები. „გალათასარაის" და „ტრაბსონსფორის" დაინტერესება როგორც სხვებმა, მეც ისე შევიტყვე. ისე, ძალიან სასიამოვნოა, რომ ასეთი კლუბების ყურადღებას იმსახურებ.

— თურქული კლუბებიდან პირადად თქვენ არავინ შეგხმიანებიათ?

— არა მარტო თურქეთიდან, რუსეთის ჩემპიონატის დასრულებს შემდეგ არც ერთი კლუბის ხელმძღვანელს არ დაურეკავს ჩემთან.

— ეს ფაქტი არ გაღელვებთ?

— ყველა წინადადებას, რაც ჩემს ტრანსფერს შეეხება, ის ადამიანები განიხილავენ, რომლებიც ჩემს საქმეებს აწარმოებენ.

— თქვენ სად გირჩევნიათ კარიერის გაგრძელება?

— ძლიერ და მდიდარ კლუბში, სადაც შემეძლება სერიოზულ ევროპულ ჩემპიონატში, სულ მცირე, მედლის მოპოვება.

— რუსეთი ითვლება სერიოზულ ლიგად?

— რა თქმა უნდა! აქ საკამათოც არაფერია. პირადად მე ჯერ კიდევ არ მიჩვენებია ყველაფერი. რუსეთში შეიძლება ოსტატობის დახვეწა.

— დავუშვათ, არჩევანის საშუალება მოგეცათ — რუსეთი ან თურქეთი — რომელს აირჩევთ?

— რუსეთს სამი უპირატესობა აქვს. იქ უკვე მიცნობენ, ვიცი რუსული ენა და ჩემპიონატიც კარგია — ბევრი ძლიერი კლუბია და იოლი მატჩები არ გვიწევს. ალბათ, თურქეთსაც აქვს თავისი პლუსები, თუმცა ამაზე ჯერ არ მიფიქრია.

საქართველოს ნაკრების ნახევარმცველმა გოგიტა გოგუამ შარშანდელი სეზონი ნალჩიკის „სპარტაკში" გაატარა და რუსულმა „სპორტ-ექსპრესმა" სეზონის საუკეთესო ახალწვეულად აღიარა.
გუშინ ამ გაზეთმა გოგიტასთან ინტერვიუ გამოაქვეყნა, რასაც აქვე გთავაზობთ...

## გოგიტა გოგუამ რუსეთი სასიამოვნოდ გააოცა



## სწორება ასათიანზე

— თურქეთი თბილისთან ახლოსაა, ამასთან რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა დაიძაბა. ადრე ნალჩიკიდან ვლადიკავკაზში მიდიოდით, იქიდან კი თბილისში. ახლა როგორ მგზავრობთ სახლამდე?

— ახლა ვლადიკავკაზიდან აღარავინ დადის. არ არის გარანტია, რომ საზღვარზე გაგატარებენ. უფრო სწორად, არ გაგატარებენ. რაღაზეა ლაპარაკი, როდესაც მოსკოვი-თბილისის ავიარეისებია გაუქმებული. ჩვენ ახლა შინ ჩამოსვლა ფრანკფურტის ან სტამბოლის გავლით გვიწევს.

— „ჩვენ"-ში რუსეთში მოთამაშე ქართველი ფეხბურთელები იგულისხმეთ?

— დიახ. თუ დუბლებში და პირველ დივიზიონში მოთამაშე ფეხბურთელებსაც ჩავთვლით, მრავლად ვართ. მარტო „რუბინში" ხუთი ქართველია.

— ერთმანეთს ეკონტაქტებით?

— კი, ძალიან ხშირად.

— სამშობლოში ადევნებენ თვალს რუსეთში მოთამაშე ქართველ ფეხბურთელებს?

— მეკითხებით კიდეც? რა თქმა უნდა! თქვენი კოლეგები ჩვენზე ძალიან ბევრს წერენ, ხშირად გვირეკავენ, შეფასებებს აკეთებენ...

— ვინ არის საუკეთესო „რუსი" ქართველი?

— რა თქმა უნდა, ასათიანი. ასათიანი მთლიანად რუსეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია. „ლოკომოტივი" უმისოდ სულ სხვა გუნდია. იცით, რაშია მალხაზის ძალა?

— რაში?

— მას სხვადასხვა პოზიციაზე ერთნაირი ძალით შეუძლია თამაში. ასეთი ფეხბურთელი ყველა გუნდისთვის და მწვრთნელისთვის საჭიროა.

— უნივერსალიზმით თქვენც გამოირჩევით. ნომინალურად საყრდენი ნახევარმცველი ხართ, რამდენიმე შეხვედრაში კი ნახევარდაცვის ფლანგზეც ითამაშეთ და კარგადაც...

— ნამდვილ საყრდენ ნახევარმცველად კრასნოჟანმა მაქცია. მანამდე სხვადასხვა პოზიციაზე ვთამაშობდი. მაგალითად, ნაკრებში მარჯვენა მცველი ვარ, ხშირად მთელ ფლანგს ვაკონტროლებ. ისე, ჩემთვის სულ ერთია, სად დამაყენებენ — მთავარია, ვითამაშო. თუმც არ შეგეწინააღმდეგებით, საყრდენობა წლეულს მართლაც კარგად გამომივიდა.

— რით ახსნით თქვენს გასაოცარ პროგრესს, რაც გასულ სეზონში მოხდა. ერთი წლის წინ ფეხბურთელ გოგუას იცნობდა ვინმე?

— ახლობლები, მეგობრები და ჩემი აგენტები. მადლობა ანდრეი ჩერვიჩენკოს და მამუკა ჯულელს, მათ ყველაფერი გააკეთეს ჩემთვის. მინდა, თბილად მოვიგონო ნალჩიკის „სპარტაკი", მისი მწვრთნელები და გულშემატკივრები.

— „სპარტაკი" თქვენი გუნდია — ასე ფიქრობთ?

— ვფიქრობ კი არა, ასეა. ვთვლი, რომ ფეხბურთის თამაში რუსეთში სწორედ „სპარტაკში" დავიწყე და არა „ხიმკიში", სადაც, იმის მიუხედავად, რომ პირველ დივიზიონში ვიყავით, მხოლოდ ვირიცხებოდი, „სპარტაკში" კი — ვითამაშე. სწორედ ნალჩიკში ვიგრძენი, რომ მენდობოდნენ, დამაფასეს... ამას ვერასდროს დავივიწყებ.

— მაშ, რატომ განაცხადეთ კატეგორიულად, რომ გუნდიდან მიდიხართ?

— რას არ იტყვის ქართველი, როდესაც ის გაბრაზებულია?! ჩვენ ცხელსისხლიანი ხალხი ვართ, უკანდაუხეველი. თუკი „სპარტაკი" შეძლებს მოლაპარაკებას ჩემს აგენტებთან, მე ისევ ვითამაშებ იქ, თან მთელი სულით და გულით. შესაძლოა, მართლაც ვთქვი საწყენად, მაგრამ წრფელი გულით — მე საქმის გამო განვიცდიდი.

## ათლეტიზმის გარეშე წარმატება ძნელია

— სეზონის ბოლოს „სპარტაკის" ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებოდით. ეს კონფლიქტის გამო მოხდა?

— არა მგონია. ამ თემაზე კრასნოჟანს ვესაუბრე. მან ყველაფერი ამიხსნა. შესაძლოა, ბევრი რამ არ მომეწონა, მაგრამ შედეგს პირველ რიგში მწვრთნელს სთხოვენ. ფეხბურთელის საქმეა, ითამაშოს და შემდეგ შეაფასონ.

— ისევ რომ შეხვდეთ კრასნოჟანს, როგორი იქნება თქვენი რეაქცია?

— ვეცდები, მოვეხვიო ამ ადამიანს. ის დიდად დამეხმარა, გამეგო, რას წარმოვადგენ როგორც ფეხბურთელი.

— გოგუა და აგრესიული სათამაშო სტილი — ეს უკვე სინონიმებია. რუსეთის პრემიერლიგა სასიამოვნოდ გააოცეთ და რით გაგაოცათ ჩვენმა ჩემპიონატმა?

— საკმაოდ საინტერესო და სანახაობრივი ჩემპიონატია. ეს ერთი წელი ყოველთვის გრძელ ზღაპრად მომეჩვენება. მადლობა ღმერთს, რომ ერთ უბრალო ბიჭს ამის საშუალება მომეცა.

— თქვენი აზრით, რა თვისებები უნდა ჰქონდეს ახალბედას, რათა რუსეთში თავი წარმოაჩინოს?

— მთავარია ათლეტიზმი და სერიოზული ფიზმომზადება. თუ ფეხბურთელი არ არის მზად, ითამაშოს ძალისმიერ სტილში, ირბინოს ბევრი, გაუძლოს მაღალ ტემპს და ხშირ ორთაბრძოლებს, მას რუსეთში არაფერი ესაქმება.

— საერთოდ, ფეხბურთელებს უყვართ გამორჩეულ ადგილებში დასვენება, თქვენ სახლი რატომ არჩიეთ?

— აქ დედა, ნათესავები და მეგობრები მყავს. ნამდვილ დასვენებას სახლში ვახერხებ. ქართველმა თავი ბედნიერად და მხიარულად რომ იგრძნოს, ახლობლების გვერდით უნდა იყოს.



## ხიზანიშვილი ისევ უქმობს

**თითქმის** ორი კვირაა, ზურაბ ხიზანიშვილს „ბლექბერნში" არ უთამაშია. დღეს „ბლექბერნი" უეფას თასზე ფრანგულ „ნანსს" მასპინძლობს და კვლავ უხიზანიშვილოდ მოუწევს თამაში.

ხიზანიშვილს საზარდულის ტრავმა ისევ აწუხებს და ამიტომაც უქმობს. ზურა ახლა ოდენ მსუბუქად იტვირთება და ჯერ უცნობია, სრულად როდის გამოჯანმრთელდება. ყოველ შემთხვევაში, ხიზანიშვილი ვერც მომდევნო შეხვედრაში ითამაშებს.

**ნიკა ჯორჯაძე**

## კანკავამ დნიპრო გაიფორმა



**საქართველოს** ნაკრებისა და კიევის „არსენალის" ნახევარმცველი ჯაბა კანკავა დნეპროპეტროვსკის „დნიპროს" ტრანსფერზე წინასწარ რომ შეუთანხმდა, კარგა ხნის წინ გამცნეთ. გუშინ კი კანკავა ოფიციალურად გახდა დნეპროპეტროვსკული კლუბის წევრია — ქართველმა ფეხბურთელმა ახალ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

კანკავა ახალ გუნდს 15 იანვარს შეუერთდება, როდესაც „დნიპრო" შვებულების შემდეგ პირველად შეიკრიბება.

შეგახსენებთ: „დნიპროში" კიდევ ერთი ქართველი თავდამსხმელი რევაზ ბარაბაძე თამაშობს, ხოლო კიევის „დინამოდან" განათხოვრებულ კახა ალადაშვილს საიჯარო ვადა დაუმთავრდა და კლუბი დატოვა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# პლატინის ფილოსოფია
## ბირჟაზე ბოლო ტური არ იციან

*მსოფლიო ფეხბურთის ისტორიის ერთ-ერთმა უდიდესმა ვარსკვლავმა მიშელ პლატინიმ 15 წლიან კარიერაში ყველაფერი ნახა, 1982 წელს მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში დამარცხების სიმწარე თუ 1985 წელს „ეიზელის“ ტრაგედია. მისი უდიდესი ტრიუმფი ევროპის 1984 წლის ჩემპიონატზე გამარჯვება გახლდათ. ამ შეჯიბრებაში პლატინი 9 გოლით საუკეთესო ბომბარდირი გახდა.*

*„ნანსისა“ და „სენტ ეტიენის“ შემადგენლობაში მიშელ პლატინიმ საფრანგეთის თასი მოიგო, გახდა ქვეყნის ჩემპიონი, რაც როგორც „იუვენტუსის“ წევრმა იტალიაშიც გაიმეორა.*

*იგი გახლავთ ერთადერთი ფეხბურთელი, რომელმაც ევროპის საუკეთესო მოთამაშის ტიტული, „ოქროს ბურთი“, ზედიზედ სამჯერ (1983-85) მოიგო და აი, ახლა, კარიერის დამთავრებიდან 20 წლის შემდეგ 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის თანაორგანიზატორი ახალ სიმაღლეს უტევს — უეფას პრეზიდენტობა სურს. არჩევნები 26 იანვარს დიუსელდორფში, ამ ევროპული ორგანიზაციის ყრილობაზე გაიმართება.*



### ფეხბურთი ფეხბურთისთვის

„უეფასა და ფიფას მუშაობის სტილს წლებია რაც ვიცნობ და პრეზიდენტობის იდეაც ამიტომ გამიჩნდა — უთხრა პლატინიმ სააგენტო „რეიტერს“ — ეს იდეა ფეხბურთის სასიკეთოდ მოღვაწეობის სურვილითაა ნაკარნახევი, თან ამის შესაძლებლობაც დრომ მოიტანა. წარმატებაში კი დარწმუნებული ვარ. იმ მწვრთნელს ვგავარ, რომელმაც რაც შეეძლო ყველაფერი გააკეთა და ახლა ელოდება, რას იზამენ მისი ფეხბურთელები მოედანზე“.

პლატინი იტალიელი ემიგრანტის შვილია, 51 წლის. იგი როგორც ფიფას ასევე უეფას აღმასკომის წევრი გახლავთ და აქვს უმთავრესი და პრინციპული მოსაზრება, რომ ფეხბურთი მათ ხელში უნდა იყოს, ვინც მას ქმნის: ფეხბურთელებისა და ფანების.

მაგალითად, ჩემპიონთა ლიგის ფორმატში ცვლილებების შეტანის წინ მისი მოსაზრებები საყოველთაოდ იყო გამოქვეყნებული. მისი სურვილი ცნობილია, პლატინის უნდა ეს შეჯიბრება „პატარა“ ქვეყნების გუნდებისთვის მეტად იყოს ხელმისაწვდომი, ხოლო „დიდი“ ქვეყნების წარმომადგენელთა რაოდენობა შემცირდეს და შეიზღუდოს.

### ფილოსოფია

„მე ჩემი ფილოსოფიით მოვდივარ — ამბობს პლატინი — არის ზოგი რამ, რაც ფეხბურთის ინტერესებიდან გამომდინარე აუცილებლად გასაკეთებელია და ზურგგამაგრებული სწორედ ფილოსოფიით უნდა იყოს. გასაგებად რომ ვთქვათ, ბოლო პერიოდში ფეხბურთში საქმეები ორი მიზეზით აირია. ეს მიზეზებია ბოსმანის წესი და დიდი ფულის მოდინება. მე კი მინდა საფეხბურთო ქარტიის მოგონება, რომელიც ამ სფეროს ხალხს საკუთარი თავის მართვის საშუალებას მისცემს. მაგალითად, მგონი ჩვენ უნდა ვაკონტროლოთ, როგორ იყიდებიან ახალგაზრდა მოთამაშეები. ვერაფრით ვეგუები იმას, რომ ზოგ ახალგაზრდა ფეხბურთელს იმისთვის ავარჯიშებენ, რომ გაყიდონ, ისე რომ საბრალოს ჯერ ერთი მატჩი არ აქვს ნათამაშევი. ადრე, „რეალი“ და „ბარსელონა“ 25 წლის ფეხბურთელებს ყიდულობდნენ, ახლა, ხანდახან 14 წლისასაც კი იყიდიან ხოლმე.თუ ამას შევაჩერებთ, კლუბებს სახე დაუბრუნდებათ. სწორედ ამისთვის ვაპირებ ბრძოლას. არაფერი სჯობს იმას, რომ იყო პრეზიდენტი, რომელსაც ზურგს ფილოსოფია, ისტორია და საქმის გაკეთების სურვილი გიმაგრებს. 1992 წლიდან მოყოლებული მე მუდმივად რაღაცის ხელმძღვანელი გახლავართ. ვიყავი მსოფლიოს ჩემპიონატის ორგანიზატორი, ვიცი როგორ უნდა აამოქმედო ბევრი რამ. მერედა, მხარდაჭერაც დიდი მაქვს“.

### რევოლუციას არა!

მაგრამ, იდეათა სიუხვის მიუხედავად, მიშელ პლატინი ამბობს, რომ ის უეფაში რევოლუციას არ აპირებს.

„თუ ამირჩევენ, ლენარტ იუჰანსონს საპატიო პრეზიდენტობას ვთხოვ. ვთხოვ, დამეხმაროს. თუ არჩევნებში გავიმარჯვებ, არჩევნების მეორე დღესვე ნიონში გადავბარგდები, ხოლო თუ დავმარცხდები, რომელიმე ეკზოტიკურ ქვეყანაში წავალ და იქ დავფიქრდები იმაზე თუ რა და როგორ მოხდა“.

შემდეგ პლატინიმ ერთხელაც გაიმეორა, რომ მისი აზრით კლუბებს თავიანთი სახე უნდა ჰქონდეთ და აქეთკენ სვლისთვის ყველაზე კარგ მოდელად ესპანური სოციალური სისტემა ესახება.

„ეს სისტემა ძალიან მომწონს. როდესაც ხალხი პრეზიდენტს ირჩევს, იგი ირჩევს თავისნაირს და არა ამერიკელ ბიზნესმენს, რომელსაც ფეხბურთი არც უყვარს. საფონდო ბირჟაზე წილების გაყიდვას ეს არ სჯობს? წინააღმდეგ შემთხვევაში კაცმა შეიძლება ერთი აქციის ფასი იკითხოს, ხოლო ის თუ ვის და როგორ ეთამაშა გუნდი ბოლო ტურში, არც აინტერესებდეს. მე მხოლოდ ის მინდა, რომ თქვენს ბავშვებს ფეხბურთის თამაშის სურვილი ჰქონდეთ“.

**პაპუნა ძიდია**

---



# ნადირობა გრძელდება
## კაკა მატარებელს მისდევს

**მადრიდის „რეალმა“ კაკაზე სატრანსფერო ნადირობა განაახლა. „ასის“ ცნობით, ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში სამეფო გუნდის სპორტული დირექტორი პრედრიგ მიატოვიჩი და ფრანკო ბალდინი ბრაზილიელი ფეხბურთელის მამას, ბოსკო ლეიტეს, არაერთხელ შეხვდნენ და კაკას „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გადასვლის შესახებ ესაუბრნენ**

„კაკა „რეალის“ პრეზიდენტ კალდერონის საარჩევნო ხრიკი არ ყოფილა. ფეხბურთელთან დაახლოებულ პირებთან ბოლოდროინდელმა მოლაპარაკებებმა გვიჩვენა, რომ ბრაზილიელს ამჯერად მადრიდში მიმავალ მატარებელზე ჩამორჩენა არ სურს“ — განუცხადა ასს“ სამეფო თეთრების ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა, რომლის ვინაობასაც გაზეთი არ გვიმხელს.

„ამ ბოლო დღეებში იტალიის ჩემპიონატის ცხრილს თუ შეხედეთ? თუ არა, აუცილებლად ნახეთ და მიხვდებით, რომ „მილანი“ მძიმე დღეშია. ჩაწყობილ მატჩებთან დაკავშირებულმა სკანდალებმა მძიმედ იმოქმედა კაკაზე. სულ რამდენიმე თვეში იტალიის ჩემპიონი საეჭვო გუნდად იქცა, რომელსაც დაბალ ლიგაში გავარდნის საფრთხე ემუქრება“ — ამბობს პატივცემული ჩინოვნიკი.

გასულ ზაფხულს კაკამ „მილანში“ დარჩენა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც აპენინურმა გრანდმა ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპი გადალახა. იტალიელებმა მაშინ გათამაშებიდან ბელგრადის „ცრცვენა ზვეზდა“ გამოთიშეს. ბრაზილიელის სამომავლო გადაწყვეტილებაში ლიგა ახლაც დიდ როლს შეასრულებს, თუმცა სადღეისოდ სიტუაცია კალდერონის და მიატოვიჩის სასარგებლოდ შემოტრიალდა. თუ ბედმა საბოლოოდ გაუღიმა, მადრიდელთა პრეზიდენტი „ბერნაბეუზე“ სანატრელ ფეხბურთელს ჩაიყვანს. წინააღმდეგ შემთხვევაში სენიორ კალდერონს მუდმივად გულშემატკივართა და ჟურნალისტთა აღშფოთებული შეტევების მოგერიება მოუწევს — ფანებმა და მადრიდულმა მედიამ თავკაცს დანაპირების ასრულების დაჟინებული მოთხოვნით უკვე ნერვული შოკი დამართეს...

დავუბრუნდეთ ლიგას. კაკამ „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტს ადრიანო გალიანის განუცხადა, რომ მიუხედავად „როსონერისთან“ კონტრაქტის 2011 წლამდე გახანგრძლივებისა, თუ გუნდი გაისად ლიგაზე ვერ მოხვდა, „სან სიროზე“ კარიერის გაგრძელების შესაძლებლობას ეჭვის თვალით შეხედავს. ამასთანავე ბრაზილიელს უთქვამს, რომ კორუფციასთან დაკავშირებული სკანდალის გამო თავს აპენინურ გრანდში უხერხულად გრნობს.

24 წლის ფეხბურთელის სახელი ბოლო პერიოდში საკმაოდ მიიჩქმალა. მადრიდული გაზეთების დაჟინებული მტკიცებით, ეს სწორედ მისი „მილანში“ ყოფნის ბრალია. მართლაც, კაკა „ოქროს ბურთის“ მაძიებელთა საბოლოო სიაში ნაცრისფერ მეთორმეტე ადგილზე აღმოჩნდა, ისეთი ფეხბურთელების უკან, როგორებიც არიან: მეკარე ლემანი (არსენალი), დეკუ (ბარსელონა), პირლო (მისი თანაგუნდელი), დროგბა (ჩელსი) და კლოზე (ვერდერი).

მადრიდი კი უკან დახევას არ აპირებს. პრეზიდენტმა კალდერონმა სპორტულ დირექტორ მიატოვიჩს ორიოდე დღის წინ ისეთი რამ უთხრა, რასაც საეჭვოა, ჩერნიგორიელის უკმაყოფილება გამოეწვია: „საარჩევნო კამპანიაში ხალხს „რეალში“ კაკას მოყვანას დავპირდით და არ უნდა გავჩერდეთ, სანამ დანაპირებს არ შევასრულებთ.“ მიატოვიჩმა კი თავის დროზე „მილანის“ სპორტულ დირექტორს არიედო ბრაიდას განუცხადა, რომ კაკა „რეალისთვის“ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს და მისი შეძენისთვის ბოლომდე იბრძოლებს. ეს გასულ „ტროფეო. ბერნაბეუზე“ მოხდა, როდესაც იტალიელები მადრიდში რონალდოს საყიდლად ჩავიდნენ.

„რეალის“ მარკეტინგის დეპარტამენტი ირწმუნება, თუ კაკა მადრიდში გადმოვა, ჯამაგირსაც მეტს მიიღებს და სარეკლამო შემოსავალიც დღევანდელზე უხვი იქნებაო. ამრიგად, კლუბი ნადირობას აგრძელებს. თან „რეალის“ სასარგებლოდ კაკას განწყობაც მოქმედებს. ფეხბურთელი „ბერნაბეუზე“ გადასვლის სურვილს მედიასთან ჯერ არა, მაგრამ მამასთან და აგენტებთან საუბარში უკვე ამჟღავნებს. პრედრიგ მიატოვიჩიც, როგორც თავად ამბობს, სიტყვის კაცია: „ჩერნიგორიაში არავის მოსწონს, როცა მატყუარას ეძახიან. ვთქვით, რომ კაკას შევიძენთ და დანაპირებს აუცილებლად შევასრულებთ.“

**ლადო ხომერიკი**


AFP

# მასიმო მორატი: არა!

**მილანის „ინტერისთვის“ სეზონი ბრწყინვალედ მიმდინარეობს. გუნდი სერია A-ს დამაჯერებლად ლიდერობს და უკვე ძნელად სავარაუდოა, მას სკუდეტოში ვინმე შეეცილოს. არადამაჯერებელი სტარტის შემდეგ „ნეროაძურიმ“ ვითარება ჩემპიონთა ლიგაშიც გამოასწორა. ცხადია, კმაყოფილებას ვერ მალავს კლუბის პრეზიდენტი მასიმო მორატი, რომელთან ინტერვიუც „ინტერის“ ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა...**

**— „ინტერი“ უკვე საგრძნობი სხვაობით უსწრებს მდევრებს. როგორ ფიქრობთ, ამ სეზონის სკუდეტო გაინაღდეთ?**

— ამაზე საუბარი ჯერ ძალიან ადრეა. მთავარია, ტემპი არ დავკარგოთ და ასე გავაგრძელოთ. მჯერა, ამას შევძლებთ. ახლა კარგი პერიოდი გვიდგას და ეს მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ, რაც შეიძლება მეტი ქულა უნდა მოვაგროვოთ და მდევრებს კიდევ უფრო დავუსხლტეთ.

**— „ლაციომ“ „რომასთან“ მოგებით დიდი სამსახური გაგიწიათ, თუმცა რამდენიმე წლის წინ „ბიანკოჩელესტიმ“ ბოლო ტურში დაგამარცხათ, რის გამოც მაშინ სკუდეტო დაკარგეთ...**

— ასე ვიტყოდი — „ლაციომ“ ახლა გაცილებით ნაკლები მოგვცა, ვიდრე მაშინ წაგვართვა.

**— რობერტო მანჩინიმ ისეთი მწვრთნელების რეკორდი გაიმეორა, როგორებიც ელენიო ერერა და ჯოვანი ტრაპატონი იყვნენ...**

— პარალელების გავლება ყოველთვის მიჭირს. ჩვენ სხვადასხვა გუნდებზე და დროზე ვსაუბრობთ. ფაქტია, რომ მანჩინიმ ძლიერი გუნდის ჩამოყალიბება შეძლოა და თუ ვინმე ამ ახალგაზრდა მწვრთნელს ეჭვის თვალით უყურებდა, ახლა ალბათ ყველა დარწმუნდა მის შესაძლებლობებში. რობერტომ დიდი სამუშაო გასწია, მას სერიოზული გეგმა აქვს, რომელსაც მშვენივრად უძღვება. მჯერა,მანჩინის კარიერაში, რომელიც ძალიან გრძელი იქნება, თავისი შედეგებით და წარმატებებით ნამდვილად დაიმსახურებს ამ ორ ბრწყინვალე მწვრთნელთან შედარებას.

**— არის „ინტერის“ ერთადერთი მეტოქე თავად „ინტერი“?**

— ბოლომდე ვერ დაგეთანხმებით. ახლა ყველაფერი ჩვენს ხელშია და კონცენტრაცია არ უნდა დავკარგოთ. თუმცა ძლიერი მეტოქეები ისევ გვყავს და წინ დიდი ბრძოლაა. მაგალითად, „რომა“, მიუხედავად წაგებული დრებისა. ასევე „პალერმო“, რომელიც ისევ ფორმაშია და „მილანიც“, რომელმაც რვაქულიანი მინუსისა და სხვა პრობლემების გამო სკუდეტოზე თითქოს ხელი უკვე ჩაიქნია, მაგრამ მას წინ კიდევ დიდი დრო აქვს გონზე მოსასვლელად. ერთი სიტყვით, ფრთხილად უნდა ვიყოთ.

**— „ემპოლისთან“ ალვარო რეკობას თამაშმა ყველა აღაფრთოვანა.**

— მე მისი ასეთი თამაში უამრავჯერ მინახავს და ეს ყოველთვის აღფრთოვანებას იწვევს. იგი ძალიან ნიჭიერი და დიდი შესაძლებლობების მქონე ფეხბურთელია, მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად ტრავმები უშლის ხელს. ისიც აღსანიშნავია, რომ „ემპოლისთან“ ყველა ბრწყინვალედ გაისარჯა.

**— „მილანი“ ახლა კრიზისშია, მოგწონთ ეს?**

— არა, რადგან ყოველთვის ვცდილობ, სხვის პრობლემებს გაგებით მოეკიდო. „როსონერის“ ახლა ძალიან რთული პერიოდი უდგას, მაგრამ „მილანი“ ამ ვითარებიდან გამოვა.

**— გენატრებათ „იუვენტუსი“ სერია A-ში?**

— არა.

**— რას იტყვით ჩემპიონთა ლიგაში თქვენს სავარაუდო მეტოქეებზე?**

— ყველა ძლიერი გუნდია, ჩემპიონთა ლიგა ამითაც არის მიმზიდველი.

**— ნვანკო კანუ ყოველთვის მოგწონდათ, იგი ამჟამად პრემიერლიგის საუკეთესო ბომბარდირია...**

— კანუ ერთ-ერთი ფეხბურთელია, რომელსაც ყოველთვის განსაკუთრებულად ვთვლიდი. იგი ამას ამტკიცებს კიდეც.

# საშინელება თვალწინ
## ორი ნაკერი თავზე

**სერ** ბობი ჩარლტონმა ნახევარსაუკუნოვანი დუმილი დაარღვია და „ტაიმსს“ 1958 წლის ავიაკატასტროფაზე უამბო.

64 წლის სერ ბობიმ თქვა, რომ მის ცხოვრებაში არ ყოფილა დღე ამ ტრაგედიაზე რომ არ ეფიქრაოს. 1956 წლის 6 თებერვალს მიუნხენის აეროპორტში მომხდარ კატასტროფას 23 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. იმათ შორის კი ბელგრადიდან შინისკენ მიმავალი 8 მანჩესტერელი ფეხბურთელი იყო.

ჩარლტონი მაშინ 20 წლის, იყო და კატასტროფას მხოლოდ ერთი კოპით დაეხსნა.

ამ გადარჩენის შემდეგ ის მსოფლიო ვარსკლავი შეიქნა, 106-ჯერ ითამაშა ინგლისის ნაკრებში და დღემდე სარეკორდო 49 გოლი გაიტანა.

„მე თავს ერთგვარად დამნაშავედ ვთვლი“ — თქვა მან — ახლაც არ შემიძლია იმ ღამის ყველა სცენის გახსენება. ეს საშინელება ყოველდღიურად თვალწინ მიდგას. თვითმფრინავი ძალიან მძიმედ დაიძრა ბილიკზე და ყველას გაგვიკვირდა. მერე ფანჯრებიდან ვიყურებოდით და მივხვდით რომ საქმე კარგად ვერ არის“.

მერე თვითმფრინავი შუაზე გაიჩეხა. ჩარლტონმა გონება დაკარგა. ის ისე შორს გადავარდა, რომ ძლივს იპოვეს. გადარჩენილმა თანაგუნდელმა, ჰარი გრეგმა მიაგნო და საავადმყოფოში წაიყვანეს.



„გონს რომ მოვედი, პირველად უახლოესი მეგობრები მოვიკითხე“, იხსენებს, სერ ბობი — ტომი ტეილორი, დევიდ პეგი, ედი კოლმენი. ჩვენ ძმებივით ვიყავით. მართლა ძმებივით. გაზეთი წამიკითხეს, სადაც სამივე გარდაცვლილად იყო მოხსენებული. ვერ დავიჯერე. როგორ გადავრჩი მე, რომელმაც სავარძელს მობმული დარტყმამ 50 იარდზე გამისროლა და როგორ დაიხოცნენ ისინი? ეს როგორ იქნება? მე უვნებელი ვიყავი, ორიოდე ნაკერი მედო თავზე და მორჩა. ჩემი ძმაკაცები კი დაიხოცნენ. არ მჯერა, რომ იღბლიანი ვარ. მე უფრო დანაშაულის გრძნობა მაქვს“.

ჩარლტონი კატასტროფიდან სამი კვირის თავზე უკვე მინდორზე იყო. გადარჩენილმა მენეჯერმა მატ ბასბიმ სწორედ მის გარშემო დაიწყო ახალი „მანჩესტერის“ შენება.

**ირაკლი ბამყრელიძე**

# იაპონელი ბავშვის სიმღერა: ბარსელონა, ბარსელონა...


AFP ფოტოები

**„ბარსელონა“** ტოკიოში თერთმეტსაათიანი მომქანცველი მგზავრობის შემდეგ ჩაფრინდა. თუმცა კატალონიელ ფეხბურთელებს დაღლილი სახეები უმალ ღიმილმა გაუნათათ, როცა ნარიტას აეროპორტში მათ დასახვედრად მისული ზღვა ხალხი შენიშნეს. იაპონური მედიის წარმომადგენლები და იქაური ფანები აეროპორტში რამდენიმე საათით ადრე მივიდნენ და სახელგანთქმული რონალდინიოს და მისი მეგობრების ჩასვლას მოუთმენლად ელოდებოდნენ.

ყველაზე დიდი ჟივილ-ხივილი, რა თქმა უნდა, კიჭას დანახვისას ატყდა. იაპონელებს თან დიდი ტრანსპარანტები მოეტანათ და რონალდინიოს სახელს ხმაშეწყობით გაიძახოდნენ. საერთოდ, ამომავალი მზის ქვეყანაში გულშემატკივრებს ერთი თავისებურება ახასიათებთ — იაპონელები გუნდებზე მეტად ცალკეულ ფეხბურთელებს ქომაგობენ და თუ ეს მოთამაშე სხვა კლუბში გადავიდა, მისი ფანებიც ბანაკს დაუფიქრებლად იცვლიან. აეროპორტში რონის გარდა დეკუს ქომაგებიც ბლომად იყვნენ.

იყო ორი წლის პაწაწინა კაგარიც, რომელიც „ბარსას“ ჰიმნს მღეროდა. დედამ თავის ბავშვს კატალონიური გრანდის ჰიმნი შეასწავლა და შვილის მიერ შესრულებულ შედევრს აეროპორტში თავმოყრილ ხალხს და ჩამოსულ ფეხბურთელებს რეპროდუქტორის საშუალებით ასმენინებდა.

რაიკარდის გუნდი ოტელ „როიალ პარკში“ დაბინავდა, სადაც რამდენიმე საათით დაისვენა, სანამ სასტუმროს სპორტულ დარბაზს მსუბუქად სავარჯიშოდ მიაკითხავდა. შეგახსენებთ, რომ „ბარსელონა“ საკლუბო მუნდიალის ნახევარფინალში ხუთშაბათს მექსიკურ „ამერიკას“ უნდა შეხვდეს.

ტურნირზე ჯერ ორი თამაში ჩატარდა და ორგანიზატორები შეშფოთებულნი არიან, ხალხი საკლუბო მუნდიალისადმი გულგრილადაა განწყობილი და სტადიონები სანახევროდაც არ ივსება. სიტუაცია „ბარსელონამ“ უნდა გამოასწოროს. იაპონიაში რონალდინიო სიგიჟემდე უყვართ და სავარაუდოდ ტრიბუნებიც ბოლომდე შეივსება. „ბარსას“ კი საკონტინენტთაშორისო თასი თავის ისტორიაში არასდროს მოუგია.

**ლადო ხომერიკი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უეფას თასი 2006-2007. ჯგუფური ეტაპი. V ტური

## ფეიენოორდს ყვითელი აქვს უეფა ჯიბეში წითელს ეძებს

**E ჯგუფი**

ბლექბერნი — ნანსი
ფეიენოორდი — ვისლა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნანსი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:3 | 7 |
| ბლექბერნი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 7 |
| ვისლა | 3 | 1 | 0 | 2 | 5:5 | 3 |
| ფეიენოორდი | 3 | 0 | 2 | 1 | 1:4 | 2 |
| ბაზელი | 4 | 0 | 2 | 2 | 4:9 | 2 |

**F ჯგუფი**

ესპანიოლი — აუსტრია
ზულტე-ვარეგემი — აიაქსი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანიოლი | 3 | 3 | 0 | 0 | 10:2 | 9 |
| ზულტე-ვარეგემი | 3 | 2 | 0 | 1 | 9:8 | 6 |
| აიაქსი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 4 |
| სპარტა | 4 | 1 | 1 | 2 | 2:5 | 4 |
| აუსტრია | 3 | 0 | 0 | 3 | 1:8 | 0 |

**G ჯგუფი**

პსჟ— პანათინაიკოსი
ჰაპოელი — ბოლესლავი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 3 | 2 | 1 | 0 | 3:0 | 7 |
| ჰაპოელი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:6 | 4 |
| რაპიდი | 4 | 0 | 4 | 0 | 3:3 | 4 |
| ბოლესლავი | 3 | 0 | 2 | 1 | 1:2 | 2 |
| პსჟ | 3 | 0 | 2 | 1 | 2:4 | 2 |

**H ჯგუფი**

ფენერბაჰჩე — აინტრახტი
პალერმო — სელტა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუკასლი | 4 | 3 | 1 | 0 | 4:1 | 10 |
| სელტა | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| ფენერბაჰჩე | 3 | 1 | 0 | 2 | 3:2 | 3 |
| პალერმო | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | 3 |
| აინტრახტი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |



ფრანჩესკო გვიდოლინი

**უეფას თასის** 2002 წლის ტრიუმფატორი როტერდამის „ფეიენოორდი" კრაკოვის „ვისლას" მასპინძლობს და მხოლოდ გამარჯვება სჭირდება, რათა მეთექვსმეტედფინალში გავიდეს. პოლონელებს ამ მატჩში ქულაც ეყოფათ. მასპინძლებს „ნანსისთან" მატჩში გაძევებული როისტონ დრენტე არ ეყოლებათ, ხოლო სტუმრებს ასევე დისკვალიფიკაციის გამო დააკლდებათ ნიკოლა მიხაილოვიჩი. მან „ბლექბერნის" ფორვარდ ბენი მაკარტის რასისტული შეურაცხყოფა მიაყენა.

„ნანსისთან" მატჩში ფანების უწესრიგო ქცევის გამო „ფეიენოორდი" უკვე დაისაჯა 125 ათასი ევროთი და თუ ქომაგები ამჯერადაც აურევენ, შესაძლოა, როტერდამელებმა უეფასგან ძალიან მკაცრი სასჯელიც მიიღოს.

E ჯგუფის მეორე მატჩში მეთექვსმეტედფინალში უკვე გასული გუნდები — „ბლექბერნი" და „ნანსი" გაარკვევენ ურთიერთობას. ფრე ან მოგება ფრანგებს პირველ ადგილზე გაიყვანს, რაც უბრალოდ, სიმბოლურია, თორემ მაინცდამაინც გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს.

თითქმის ყველაფერი გარკვეულია F ჯგუფში, რომლის ლიდერმა „ესპანიოლმა" შინ სულაც რომ წააგოს უქულო „აუსტრიასთან" ეს არაფერს შეცვლის. მეორე შეხვედრაში მიზერული ინტრიგა მაინც არის — ამსტერდამის „აიაქსმა" 4 და მეტი ბურთის სხვაობით არ უნდა წააგოს „ვარეგემთან", წინააღმდეგ შემთხვევაში ჰოლანდიელების ნაცვლად მეთექვსმეტედფინალში პრაღის „სპარტა" გავა.

დიდი არეულობაა ბოლო ორ ჯგუფში. G-თი დავიწყოთ. პსჟ ცხრილის ფსკერზე კი არის, მაგრამ შემდეგ ეტაპზე უკვე გასულ „პანათინაიკოსს" შინ თუ მოუგო, მეთექვსმეტედფინალში ყველა შემთხვევაში გავა, სხვა შედეგი პარიზელებს ხელს არ აძლევთ.

თელ ავივის „ჰაპოელს" საკუთარ კედლებში „ბოლესლავთან" ქულაც ჰყოფნის. ჩეხებს კი, პსჟ-ს დარად, მხოლოდ მოგება სჭირდებათ. საინტერესოა, რომ თუ „ჰაპოელი" წააგებს ან ფრეს ითამაშებს, ხოლო პარიზელები „პანათინაიკოსს" ვერ მოუგებენ, მეთექვსმეტედფინალში ბუქარესტის „რაპიდი" გავა, რომელმაც ჯგუფის ოთხივე შეხვედრა ფრედ დაასრულა.

სიცილიურ „პალერმოს" ვიგოს „სელტასთან" მოგება სჭირდება, სხვა შედეგი ფრანჩესკო გვიდოლინის გუნდს ჯგუფში ჩატოვებს. საკუთარ კედლებში ფრე ეყოფა „ფენერბაჩეს", რომელიც „აინტრახტს" მასპინძლობს. ფრანკფურტელები კი შემდეგ ეტაპზე მხოლოდ მოგებით გავლენ.

აქვე შეგახსენებთ, რომ თანაბარქულიანობის შემთხვევაში შემდეგ ეტაპზე გასასვლელად უპირატესობა ენიჭება: 1. ბურთების უკეთეს სხვაობას, 2. გატანილი გოლების რაოდენობას, 3. სტუმრად გატანილი გოლების რაოდენობას, 4. მეტ მოგებას, 5. სტუმრად მეტ მოგებას.

**გიორგი ძაძაბაძე**

## ტრეზეგეს კლოზე გაუხარდა



**ტურინის** „იუვენტუსის" მწვრთნელმა დიდიე დეშანმა უარყო ინფორმაცია მარკო მარკიონის იანვარში შესაძლო წასვლის შესახებ. „ბებერ ქალბატონს" ვალერი ბოჟინოვის კონტრაქტი აქვს ბოლომდე გამოსასყიდი, რაც 6-7 მილიონი ევრო დაუჯდება. ამბობენ, „იუვე" „ფიორენტინას" ფულის ნაცვლად „პარმას" ყოფილ ნახევარმცველს მისცემსო, მით უმეტეს, რომ ზაფხულში დამატებული მარკიონი ჯერ ვერ ბრწყინავს.

„ყველაფერი ძალიან მარტივი და ნათელია. იანვარში გუნდს არც ერთი ფეხბურთელი არ დატოვებს, სულ მცირე, სეზონის ბოლომდე მაინც დარჩებიან „იუვენტუსში". რაც შეეხება ბოჟინოვს, ერთადერთი, რაც ახლა შემიძლია გითხრათ, ის არის, რომ იგი ძალიან საინტერესო და ნიჭიერი მოთამაშეა, რომელსაც იმის პოტენციალი ნამდვილად აქვს, რომ სერია A-ს ერთ-ერთ საუკეთესო თავდამსხმელად იქცეს. თუმცა უნდა გაიზარდოს და ბევრი ისწავლოს" — განაცხადა დეშანმა.

კარგი ამბებია ტურინელთა ლაზარეთიდან — დავიდ ტრეზეგემ და კრისტიანო ძანეტიმ ტრავმები მოიშუშეს და ვარჯიშიც დაიწყეს. შესაძლოა, მათ მომავალ უქმეებზე „ჩეზენასთან" ითამაშოს კიდეც.

„მიხარია, რომ ვარჯიში განვაახლე. რაც შეეხება კონტრაქტის გახანგძლივებას ან გუნდის გამოცვლას, ახლა ამაზე ნამდვილად არ ვფიქრობ, მთავარი სერია A-ში დაბრუნებაა. მერე კი ყველა თავის არჩევანს გააკეთებს. შემოთავაზებები მართლაც იყო. ფაბიო კაპელოსთან კარგი ურთიერთობა მაქვს და მას ძალიან ვაფასებ. კაპელოს „იუვენტუსში" ვუნდოდი და, ვფიქრობ, „რეალშიც" სურდა ჩემი ხილვა. „ლიონისგანაც" მქონდა წინადადება, მაგრამ „იუვენტუსმა" ჩემი შანარჩუნება გადაწყვიტა. ფული არაფერ შუაშია, უბრალოდ, კლუბმა ისურვა ჩემი დატოვება. სერია B ახალი გამოცდილებაა, მაგრამ ტექნიკური თვალსაზრისითეს სულ სხვა სამყაროა. სერია B-ს კვალობაზე კარგი გუნდი გვყავს, მაგრამ მომავალი სეზონისთვის გაძლიერება დაცვასაც სჭირდება, ნახევარდაცვასაც და თავდასხმასაც. მეც გავიგე, რომ ხელმძღვანელობა მიროსლავ კლოზეთია დაინტერესებული, რაც ძალიან კარგია. ასეთი ფეხბურთელები გვჭირდება. კლოზე ძალიან მომწონს" — თქვა ტრეზეგემ.

ფრანგმა ფორვარდმა ეროვნულ ნაკრებზეც გააკეთა კომენტარი. მას არ სიამოვნებს, რომ ბოლო დროს „მამლებში" იშვიათად ათამაშებენ. გავიხსენოთ ისიც, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში საფრანგეთმა იტალიასთან სწორედ ტრეზეგეს აცილებული პენალტით წააგო.

„მსოფლიოს ჩემპიონატზე რაიმონ დომენეკმა ერთი ფორვარდით გადაწყვიტა თამაში და მისი რჩეული ტიერი ანრი გახლდათ. ახლა სხვანაირი ტაქტიკა გვაქვს, მაგრამ, ვფიქრობ, ეროვნულ ნაკრებში სისტემატურად მოხვედრაში ისიც მიშლის ხელს, რომ სერია B-ში ვთამაშობთ" — დასძინა 29 წლის თავდამსხმელმა.

**გიორგი ძაძაბაძე**



## ავტომატური ინტერი

**მილანის** „ინტერისთვის" გასულ უქმეებზე „ემპოლისთან" მოგება მიჯრით მერვე რომ იყო სერია A-ში, რითაც რობერტო მანჩინიმ ელინიო ერერასა და ჯოვანი ტრაპატონის შედეგი გაიმეორა, უკვე მოგახსენეთ. მომავალ ტურში „ნეროაძური" „მესინას" მასპინძლობს და ახალი რეკორდის დასამყარებლადაც ემზადება. თუმცა „შავ-ლურჯების" მწვრთნელი მიიჩნევს, რომ რეკორდს ფასი არ ექნება თუ ეს სკუდეტოთი არ დაგვირგვინდა.

„კომპლიმენტები და მოგებები ყოველთვის სასიამოვნოა, მაგრამ რეკორდს მხოლოდ მაშინ იმახსოვრებენ კარგად, თუ ამას ტიტულები ერთვის თან. ერერამ და ტრაპატონიმ გარდა რეკორდების დამყარებისა, ტიტულებიც მოიგეს, ჩვენ კი ჯერ ბრძოლა წინ გვაქვს. ბიჭები ყველაფერს კარგად აკეთებენ და მთავარია, ასე გავაგრრძელოთ. ადვილი არ არის მატჩის მსვლელობისას ტაქტიკის შეცვლა, მაგრამ ისეთი ფეხბურთელები მყავს, რომლებსაც გადაწყობა არ უჭირთ და ეს საქმეს უდავოდ მიადვილებს. ამ „ინტერის" შექმნა ერთად დავიწყეთ, უკვე რამდენიმე წელია, ერთმანეთს ვიცნობთ და ყველაფერი ავტომატურად ხდება, რაც სხვებთან შედარებით პატარა უპირატესობას გვაძლევს" — თქვა მანჩინიმ.

ახალგაზრდა სპეციალისტს „ინტერთან" კონტრაქტი 2007 წელს ეწურება და გახანგძლივებაზე ჯერ არაფერი ისმის. ალბათ მოგეხსენებათ, ლაპარაკია იმაზეც, შესაძლოა მანჩინი შეცვალონო, მით უმეტეს, თუ „ინტერი" ამ სეზონში წარმატებას ვერ მიაღწევს. თავად მანჩინიმ ამ საკითხზე საუბარს ისევ თავი აარიდა.

„ამაზე რატომღაც ძალიან ბევრს საუბრობენ. ახლა მთავარია, „ინტერმა" სეზონის ბოლომდე გააგრძელოს ასე თამაში. წინ კიდევ ექვსი თვე და არცთუ იოლი პერიოდია. კონტრაქტის გახანგძლივებაზე და დანარჩენზე კი მერე ვილაპარაკებთ" — აღნიშნა მანჩინიმ.

| 17004 | უიგანი-არსენალი | 1.85 | 1.95 |
| 17243 | ბლექბერნი-ნანსი | 1.85 | 1.95 |
| 17244 | ესპანიოლი-აუსტრია | 1.85 | 1.95 |
| 17245 | ფენერბაჩე-აინტრახტი | 1.85 | 1.95 |
| 17246 | ფეიენოორდი-ვისლა | 1.85 | 1.95 |
| 17247 | აპოელი თა-ბოლესლავი | 1.85 | 1.95 |
| 17248 | პალერმო-სელტა | 1.85 | 1.95 |
| 17249 | პსჟ-პანათინაიკოსი | 1.85 | 1.95 |
| 17250 | ვარეგემი-აიაქსი | 1.85 | 1.95 |
| 17251 | ოსერი-ლივორნო | 1.85 | 1.95 |
| 17252 | ბრაგა-გრასჰოპერი | 1.85 | 1.95 |
| 17253 | ჰერენვენი-ლანსი | 1.85 | 1.95 |
| 17254 | ლევერკუზენი-ბეშიქთაში | 1.85 | 1.95 |
| 17255 | პარმა-ოსასუნა | 1.85 | 1.95 |
| 17256 | რეინჯერსი-პარტიზანი | 1.85 | 1.95 |
| 17257 | სევილია-ალკმაარი | 1.85 | 1.95 |
| 17258 | ტოტენჰემი-დინამო(ბქ) | 1.85 | 1.95 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# ათასად ჯერი დაფასდა



მანუ ჯინობილის „სან ანტონიომ“ „კლიპერსი“ მოსრა

**ერთი შეხედვით** ჩვეულებრივი მატჩი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთს დასავლეთ კონფერენციის ორი მძლავრი გუნდი ხვდებოდა. ემოციურადაც არ ყოფილა დიდად დაძაბული, ერთმა გუნდმა მეორეს 22 ქულით მოუგო.

მაგრამ შეხვედრა რომ დამთავრდა, ორივე გუნდის მოთამაშეები და მწვრთნელები კარგა ხანს შერჩნენ მოედანს. ეს ამბავი სოლტ ლეიკ სიტის „დელტა სენთერში“ ხდებოდა, სადაც „იუტა ჯაზმა“ „დალას მავერიკსს“ უმასპინძლა და 101:79 მოუგო. ანგარიშიდანაც ჩანს, თამაში დიდი ვერაფერი გამოდგა, მაგრამ „იუტას“ თავკაც ჯერი სლოუნისთვის ეს გამარჯვება კარიერაში მე-1000 იყო და „ჯაზის“ ამაგდარ დირიჟორს თავისიანთა და ასევე დალასელთა მილოცვების მიღება მოუხდა. სწორედ რომ მოუხდა, რაკი თავად დიდად არ აღფროვანებულა იმ ნიშნულთან მისვლით, რომელთანაც ნბა-ს ისტორიაში მხოლოდ მისი ოთხი კოლეგა მისულა.

ხალხიც ბოლო ორი წუთი ფეხზე წამოუდგა და „იუტამ“ მატჩი ტაშის აკომპანიმენტით ჩაამთავრა. „ტაში უკეთესია, ვიდრე სტვენა“ — ასეთი მშრალი კომენტარით შემოიფარგლა ტრიუმფატორი სლოუნი ნამატჩევს, როცა მიმლოცველებისგან თავი დაიხსნა.

„ასეთები არიან მწვრთნელები, ასეთ რამეს არ აღნიშნავენ, მათი გონება სულ სხვა, უფრო მნიშვნელოვანი საფიქრალითაა დაკავებული“ — ამბობდა ნამატჩევს სლოუნის ერთ-ერთი გამორჩეული შეგირდი კარლოს ბუზერი.

ისტ რეზერფორდში „ნიუ ჯერსიმ“ სეზონის უცუდესი გუნდი „მემფისი“ მიიღო და იოლად მოუგო. „მემფისი“ კვლავ თავისი ესპანელ ლიდერ პაუ გასოლის გარეშე თამაშობს და ვერც თამაშობს. „ნიუ ჯერსისთან“ პირველი მეოთხედი 10:25 წააგო და მერე მთელი დარჩენილი დრო 10 ქულამდეც ვერ დაუახლოვდა მეტოქეს.



| ნბა-ს ათასიანთა კლუბი | მოგება | წაგება | % |
|---|---|---|---|
| 1. ლენი უილკენსი | 1332 | 1155 | 53,6 |
| 2. დონ ნელსონი | 1200 | 891 | 57,4 |
| 3. პატ რაილი | 1160 | 600 | 65,9 |
| 4. ლარი ბრაუნი | 1010 | 800 | 55,8 |
| 5. ჯერი სლოუნი | 1000 | 663 | 60,1 |
| 9. ფილ ჯექსონი | 891 | 359 | 71,3 |
| 12. ჯორჯ კარლი | 795 | 552 | 59,0 |

ნიუჯერსელმა გამთამაშებელმა ჯეისონ კიდმა 12 ქულა, 13 პასი და 10 მოხსნა მიითვალა, 12-წლიან კარიერაში 79-ე სამმაგი დუბლი შეასრულა და ნბა-ს ისტორიაში მესამე მესამმაგდუბლეს, ლეგენდარულ უილტ ჩემბერლენს გაასწრო. ახლა კიდის წინ მხოლოდ ორნი არიან — ოსკარ რობერტსონი და მეჯიქ ჯონსონი. სხვათა შორის, ამპლუით კიდის დარად ორივე გამთამაშებლები იყვნენ.

თანამედროვეობის საუკეთესო გამთამაშებელი სტივ ნეში კი ვერასდროს გაერევა სამმაგი დუბლის მხვეჭავთა შორის, თუნდაც იმიტომ, რომ ტანად არცთუ დიდია და მოხსნებს კიდივით ბითუმად ვერ აგროვებს. სამაგიეროდ, ნეში პასს იძლევა ჩინებულად და ქულებთან შეხამებით ორმაგ დუბლებს ძალიან იოლად აკეთებს. ახლაც, „ორლანდოსთან“ 18 ქულას 15 პასიც დაურთო და „ფინიქსს“ იოლად დაამარცხებინა შედეგების მიხედვით აღმოსავლეთის საუკეთესო გუნდი. „ფინიქსისთვის“ ეს გამარჯვება ზედიზედ მე-11 იყო. მიმდინარე სეზონის რეკორდი კი „დალასს“ ეკუთვნის — ზედიზედ 13 მოგება.

„ორლანდოს“ ალბათ მალე მოუწევს აღმოსავლეთში ტახტის დათმობა. „დეტროიტი“ უკვე ქუსლებზე აბიჯებს და „ჩიკაგომაც“ აშკარად უმატა მოგებებს. ამ უკანასკნელმა ორშაბათს უშუალო მეზობელი „ინდიანა“ დაამარცხა, რომელსაც ტრავმა-ავადმყოფობა-დისკვალიფიკაციების გამო სამი ლიდერი აკლდა — ჯერმენ ონილი, ალ ჰარინგტონი და სტივ ჯექსონი. „ჩიკაგომ“ ამ მოგებით ცენტრალურ დივიზიონში მესამე ადგილზე აინაცვლა, აღმოსავლეთში კი მეხუთე ადგილზე გამაგრდა, საიდანაც ლიდერის კვარცხლბეკი ორ ნაბიჯსა და ორიოდ გამარჯვების მანძილზეა.

**კოტე ყორშია**

11 დეკემბერი

**იუტა 101:79 დალასი**
იუტა: ბუზერი (31 ქულა, 11 მოხსნა), უილიამსი (18), ჰარპრინგი (15)
დალასი: ნოვიცკი (26 ქულა, 10 მოხსნა)

**ორლანდო 89:103 ფინიქსი**
ორლანდო: არიზა (19), ჰილი (14)
ფინიქსი: სტუდემაიერი (30), მერიონი (19 ქულა, 11 მოხსნა), ნეში (18 ქულა, 15 პასი)

**ნიუ ჯერსი 105:92 მემფისი**
ნიუ ჯერსი: კარტერი (37), ჯეფერსონი (16), კიდი (12 ქულა, 13 პასი, 10 მოხსნა)
მემფისი: ეტკინსი (26), სტუდემაიერი (14)

**ჩიკაგო 106:91 ინდიანა**
ჩიკაგო: გორდონი (23), დენგი (22)
ინდიანა: ტინსლი (21), გრეინჯერი (21)

**ფილადელფია 79:81 პორტლენდი**
ფილადელფია: იგუდალა (27)
პორტლენდი: რენდოლფი (18 ქულა, 10 მოხსნა), დიქსონი (17)

**მაიამი 99:77 ტორონტო**
მაიამი: ვეიდი (37), მურნინგი (12)
ტორონტო: პარკერი (18), გარბახოსა (12)

**ნიუ იორკი 90:97 ბოსტონი**
ნიუ იორკი: კარი (30ქულა, 12 მოხსნა), მარბერი (15), ლი (14 ქულა, 13 მოხსნა)
ბოსტონი: პირსი (31), ჯეფერსონი (14 ქულა, 12 მოხსნა)

**ნიუ ორლეანი 95:89 კლივლენდი**
ნიუ ორლეანი: პოლი (30 ქულა, 11 პასი), პარგო (15), ჯექსონი (14)
კლივლენდი: ვარეჟაო (17), ილგაუსკასი (15 ქულა, 12 მოხსნა), ჯეიმსი (15)

**კლიპერსი 81:103 სან ანტონიო**
კლიპერსი: დევისი (15), ბრენდი (14 ქულა, 10 მოხსნა)
სან ანტონიო: ბერი (24), პარკერი (21), ჯინობილი (18), დანკანი (17)



## ბიძია შტერნმა ბიჭებს ბურთები დაუბრუნა

**ნბა-ს** თვითმპყრობელმა კომისარმა დევიდ შტერნმა ბოლოს და ბოლოს ყურად იღო მოთამაშეთა თხოვნა, მოთხოვნა, ჩივილი, ლანძღვა და გადაწყვიტა, რომ პირველი იანვრიდან მათ ძველ ბურთებს დაუბრუნებს.

შეგახსენებთ, რომ შტერნის ინიციატივით — ისე, რომ მას მოთამაშეებისთვის აზრი არც უკითხავს — მიმდინარე სეზონი ნბა-მ ახალი, სინთეტიკური მასალიგან დამზადებული ბურთებით დაიწყო, რითაც მრავალთა წყრომა გამოიწვია. მაგალითად, შაკილ ონილმა ჩვეული პირდაპირობით და მოურიდებლობით თქვა — ეს ახალი ბურთები არაფრით ჯობია ბავშვთა მაღაზიებში ნაყიდსო, მერე კი გუდას პირი მოხსნა და შტერნის კრიტიკისას ისეთ ეშხში შევიდა, სოლიდური ფულადი ჯარიმაც კი დააკისრეს.

შაკილი მარტო არ იყო. სტივ ნეში, ლებრონ ჯეიმსი, დუეინ ვეიდი და ათეულობით სხვა ავტორიტეტული მოთამაშე აკრიტიკებდა შტერნის სრულიად უადგილო და უდროო ინიციატივას. „მას შეუძლია შორტის დამოკლება მოითხოვოს და მოთამაშეები ამას შევეგუებით, მაგრამ ბურთის შეცვლას თუ აპირებდა, ჩვენთვისაც უნდა ეკითხა აზრი“ — ამბობს ჯეიმსი.

და შტერნმა დათმო, ოღონდ იქნებ დროებით, რაკი ამბობს, ჩვენ (ვინ ჩვენ?!) და ბურთების მწარმოებელი „სპალდინგი“ კიდევ ვიმუშავებთ ახალ ბურთზეო.

## კვირის მოთამაშეები

### აღმოსავლეთი
**ჯილბერტ არენასი (ვაშინგტონი)**

### დასავლეთი
**სტივ ნეში (ფინიქსი)**





გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად ნბა-მ ვაშინგტონელი ჯილბერტ არენასი და ფინიქსელი სტივ ნეში დაასახელა.

არენასის აღიარება მისი გუნდის „ვაშინგტონის“ გამოცოცხლებას უკავშირდება. დედაქალაქელებმა წინა კვირაში 4 თამაშიდან 3 მოიგეს არენასის 37,3-ქულიანი შესატანის წყალობით. „ჰიუსტონთან“ ერთადერთ წაგებულ მატჩში არენასმა 41 ქულა გააკეთა და წლეულს მეოთხედ ასცდა 40-ქულიან ნიშნულს. ამ მხრივ ის სეზონში საუკეთესოა.

დასავლეთში გამორჩეულ სტივ ნეშის გუნდ „ფინიქსსაც“ 4 თამაში გადახდა და ყველა მოიგო ძირითადად ნეშის 20,4-ქულიანი და 11,6-პასიანი მონაგარის წყალობით. „საკრამენტოსთან“ მან 20 პასი გააკეთა და სეზონის საყოველთაო რეკორდი დაამყარა, ხოლო „ნიუ ჯერსისთან“ ორმაგ ოვერტაიმში 161:157 მოგებულ დაუვიწყარ შეხვედრაში კარიერაში უბევრესი 42 ქულა მიითვალა.

კვირის სიმბოლური ხუთეული: სტივ ნეში (ფინიქსი), ჯილბერტ არენასი (ვაშინგტონი), ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი), რაშარდ ლუისი (სიეტლი), ედი კარი (ნიუ იორკი)

# კოსოვოს ვარიანტი

## ირანმოვლილი ათანელიშვილის სავიზო პრობლემები



ამას წინათ შემოგთავაზეთ მცირე ინტერვიუ ახალგაზრდული ნაკრების წევრ რევაზ ათანელიშვილთან, რომელიც ირანის პირველ ლიგაში გატარებულ პირველ წრეზე ლაპარაკობდა და მიუხედავად წარმატებული თამაშისა, სპარსეთში დაბრუნება არ სურდა — იქაური ცხოვრების პირობებს ვერ შეეგუე და თუ სხვა უცხოურ ვარიანტს ვერ მოვძნახავ, მიჯობს, საქართველოში დავრჩეო. ამ დღეებში ინტერნეტში ასეთ ინფორმაციას წავაწყდით: „207-სანტიმეტრიანი ქართველი ცენტრი, რევაზ ათანელიშვილი და კოსტარიკელი გამთამაშებელი ჰენრი მარტინესი „კასტრიოტიმ" განაცხადში შეიყვანა. კოსოვოს ჩემპიონატის მორიგ ტურში, 11 დეკემბერს, შესაძლოა, ორივე მათგანმა ითამაშოს". ათანელიშვილს, ცხადია, არ უთამაშია კოსოვოს ჩემპიონატის მე-12 ტურში — მას თბილისურ ტელეფონზე რომ შევეხმიანეთ, გვიპასუხა...

— გავიგეთ, კოსოვოს „კასტრიოტიში" გადასულხარ...

— ეს ამბავი მას შემდეგ გადაწყდება, როცა კოსოვოში ჩავალ. არადა, წესით და რიგით, ახლა უკვე იქ უნდა ვყოფილიყავი და კვირას ჩემპიონატის მატჩშიც უნდა მეთამაშა, მაგრამ გაუგებრობა მოხდა. კლუბმა პრიშტინის მიმართულებით ავიაბილეთი გამომიგზავნა. მათ რატომღაც ჩათვალეს, რომ კოსოვოში ჩასასვლელად ვიზა არ მინდოდა და ბილეთი, რომელიც გამომიგზავნეს, ვენის გავლით იყო. რომ მივედი აეროპორტში და ეს ბილეთი ვაჩვენე, ვერ წახვალო, მითხრეს, კოსოვოს ვიზა სტამბოლში უნდა მიიღოო.

— ახლა რას აპირებ?

— კოსოვოელები კვირას უკვე მელოდებოდნენ და ეგონათ, ვითამაშებდი, თუმც რომ ვერ ჩავედი, რაღაც შეიცვალა და ყველაფერს ხვალ-ზეგ გავიგებ. კოსოვოელებმა მეორე ბილეთიც გამოაგზავნეს, სტამბოლის გავლით. თუ ავსტრიაში ვიზა გინდა, თურქეთში ჩაფრინდი და იქიდან ჩამოდიო. თუმც არც ეს ბილეთიც გამომადგა, რადგან სტამბოლში მინიმუმ ერთი დღე უნდა გავჩერდე, რათა საკონსულოში მივიდე და კოსოვოს ვიზა გავაკეთო.

— რა გუნდია „კასტრიოტი"?

— ზუსტად არ ვიცი, რომელ ადგილზეა, მაგრამ ამას არ ვაქცევ ყურადღებას, რადგან კოსოვოელებმა კარგი პირობები შემომთავაზეს და მეც დავთანხმდი. ისე, როგორც ვიცი, კოსოვოს ფედერაცია სერბეთისაში შედის. „კასტრიოტის" მწვრთნელიც სერბია და იგი უკვე დამელაპარაკა, რაღაცეები გამომკითხა.

— ესე იგი, მიდიხარ...

— არ ვიცი ზუსტად, ხვალ დამირეკავენ და ყველაფერს მეტყვიან. თუ კოსოვოში ვერ წავედი, ალბათ, „დინამოში" ვითამაშებ.

*P.S. კოსოვოს კალათბურთის ვებგვერდზე რომ შევედით, ვნახეთ, რომ „კასტრიოტი" მე-12 ტურის შემდეგ 15 ქულით მე-7 ადგილზეა 10-გუნდიან სუპერლიგაში.*

**ირაკლი პერტაია**



## ხმა მიეცით ზაზა ფაჩულიას

ნბა-ს ყველა ვარსკვლავის მატჩი მომავალი თებერვლის ბოლოს გაიმართება და მასში თამაშის შანსი „ატლანტა ჰოქსის" ქართველ ცენტრ ზაზა ფაჩულიასაც აქვს. „ოლ სტარის" მონაწილეებს გულშემატკივარი ირჩევს და კანდიდატთა შერჩევა უკვე დაწყებულია ნბა-ს ოფიციალურ ვებგვერდზე — **www.nba.com**

— შედით ამ ვებ-გვერდის იმ განყოფილებაში, სადაც ყველა ვარსკვლავის (All Star) მატჩში მონაწილეობის კანდიდატთა სრულ სიას გაეცნობით.

— სულ უნდა აირჩიოთ 10 კალათბურთელი — 5 აღმოსავლეთ კონფერენციიდან და 5 დასავლეთიდან.

— ერთი კომპიუტერიდან დღეში ერთხელ შეგიძლიათ ხმის მიცემა. გამოკითხვა გაგრძელდება 21 იანვრამდე.

# საქმე, რომელიც დუშეთში გაკეთდა





**საქართველო** სპორტული კომპლექსებისა და ბაზების სიმრავლით რომ ვერ დაიკვეხნის, არახალია. მოჭიდავეთა და ძიუდოისტთა ნაკრებები დიდი ტურნირებისთვის ტრადიციულად ბორჯომსა და ბაკურიანში ემზადებიან. მალე კი ამ ორს ერთი სერიოზული კონკურენტი მიემატება და არჩევანის არეალიც შედარებით გაფართოვდება.

გუშინ ქართული სპორტის თავკაცები დუშეთში შეიკრიბნენ და სულ რაღაც ერთი წლის წინ საფუძველჩაყრილი სპორტკომლექსი ოფიციალურად გახსნეს. ჭიდაობის, ძიუდოსა და ფრენბურთის დარბაზებსა და ფეხბურთის ხელოვნურსაფარიან ორ ღია მოედანზე უკვე ვარჯიშებიც ტარდება. პრეზენტაციაზე ამ სპორტის სახეობებში ჩართულმა ბავშვებმაც მიიღეს მონაწილეობა. ახლო მომავალში კი სხვა სახეობათა დარბაზებიც გაკეთდება.

„მუშაობა სწრაფი ტემპით მიდის და კომპლექსი დღითი დღე ლამაზდება — გვითხრა იდეის ინიციატორმა და სულისჩამდგმელმა, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ *დავით ნამგალაურმა* — რეგიონს ხეირიანი ბაზა საერთოდ არ ჰქონდა, არადა, ხელშეწყობის პირობებში აქედან ქართულმა სპორტმა სერიოზული სარგებელი უნდა ნახოს. უკვე აშენებულ მოედნებს მალე კალათბურთისა და ძიუდოს კიდევ ერთი დარბაზი, ფეხბურთის დარბაზები და საცურაო აუზიც დაემატება. აქვე აშენდება საცხოვრებელი კომპლექსი, რომელიც პერსპექტიულ სპორტსმენებს დაეთმობა. ამ საქმეში მთელი სული და გული ჩავაქსოვე. დარწმუნებული ვარ, წლების შემდეგ დუშეთის კომპლექსში აღზრდილი ბავშვები ქართულ სპორტში თავის სიტყვას იტყვიან".

გახსნის მთავარი ცერემონია ძიუდოს დარბაზში მოეწყო. მას სპორტის მაღალჩინოსანთა გარდა საქართველოს ძიუდოისტთა და მოჭიდავეთა ნაკრების ტიტულებიანი წევრები და მწვრთნელებიც დაესწრნენ. საქართველოს ჰიმნის შესრულების შემდეგ პირველი სიტყვის უფლება სპორტის, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს გოკა გაბაშვილს მისცეს. მერე კი მცხეთა-მთიანეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულმა ვასილ მაღლაფერიძემაც გააკეთა კომენტარი.

*გოკა გაბაშვილი:* „დუშეთის კომპლექსი ქართული სპორტისთვის უმნიშვნელოვანესი წინ გადადგმული ნაბიჯია. შედეგი უკეთ წლების შემდეგ გამოჩნდება, როცა აქედან წამოსული ბავშვები მსოფლიო დონის ვარსკვლავებად ჩამოყალიბდებიან. მომავალ თაობას, გარდა იმისა, რომ მშვენიერი პირობები ექნება, დამატებით სტიმულს უძლიერესი სპორტსმენების მხარდამხარ ვარჯიშიც მისცემს. დიდი ტურნირებისთვის მოსამზადებელ ეტაპებს საქართველოს ძიუდოისტთა და მოჭიდავეთა ნაკრებები ამ კომპლექსშიც გაივლიან".

ვასილ მაღლაფერიძე: „ჯერ კიდევ ორი წლის წინ, როცა ამ საქმის წამოწყების იდეა გაჩნდა, აქაურობა ნანგრევებით იყო სავსე და მის განხორციელებაზე საუბარი სასაცილოც კი იყო. როგორც ხედავთ, მონდომებამ და მუხლჩაუხრელმა შრომამ შედეგი ასე მოკლე პერიოდში გამოიღო. სამუშაოები ჯერაც მიდის და გეგმაში უმაღლესი დონის კომპლექსის ჩამოყალიბებაა. სპორტული მოედნების, დარბაზებისა და საცხოვრებლის გარდა, დაახლოებით თხუთმეტ ჰექტრამდე ტერიტორიის ტყე-პარკიც გაშენდება და დუშეთის სპორტკოპლექსი საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სპორტული ცენტრი გახდება".

გუბერნატორმა იქვე ერთი ახალი ამბავიც გვაცნობა: „ბოლო პერიოდში საქართველოს რაგბის კავშირთან ვახორციელებთ მოლაპარაკებებს. სასაუბრო თემა კიდევ ერთი კომპლექსის მშენებლობაა. მორაგბეებსაც სერიოზული გეგმები აქვთ და საქმეს ისეთი პირი უჩანს, მალე ეს იდეაც განხორციელდება".

**ოთარ მაღლაკელიძე**

მძლეოსნობა

# თეთრი ქალები, შავი კაცები

## დენისოვას მარტივი არითმეტიკა



ლიუბოვ დენისოვა

**წელიწადი** იწურება და მარათონელებს კი მაინც არა აქვთ მოცლა და მოსვენება. დარბიან იმ 42 კილომეტრსა და 195 მეტრზე და სულ არ აწუხებთ, რომ, სადაც დარბიან, იქ უკვე გვარიანად ცივა და ჭკვიანი ხალხი ქუჩაში ტრუს-მაისურის ამარა კი არ დარბის, სახლში ბუხართან ზის და თბება. თუმცა, ვინ ჭკვიანია და ვინ სულელი, კიდევ საკითხავია. აი, რუსმა ლიუბოვ დენისოვამ, სადღაც წყნარ ოკეანეში, ჰავაის კუნძულების მთავარქალაქ ჰონოლულუს მარათონი მოიგო და 67 ათასი დოლარი ჩაიჯიბა — 40 ათასი გამარჯვებისთვის, 10 ათასი ტრასის რეკორდისთვის და 17 ათასიც იმიტომ, რომ ეს გრძელი გზა 2 საათსა და 28 წუთზე ნაკლებ დროში, კერძოდ კი 2 საათში, 27 წუთსა და 19 წამში დაფარა. 67 ათასი გვარიანი ფულია და ამ ფულის გულისთვის ბუხართან ჯდომას ორსაათნახევარი სირბილი ნაღდად სჯობს.

საინტერესოა, რომ ჰონოლულუს მარათონის ქალთა ნაწილის ძველი რეკორდიც რუსს, ლიუბოვ მორგუნოვას ეკუთვნოდა, 2004 წელს იყო დამყარებული და იმ ლუბას შედეგს ამ ლუბამ 14 წამი ჩამოაკლო.

მეორე ადგილზე კიდევ ერთი რუსი ალევტინა ბიკტიმიროვა გავიდა. ის თანამემამულეს გვარიანად, თითქმის ორწუთნახევრით ჩამორჩა და თავის მხრივ, თითქმის სამი წუთით აჯობა მესამე ადგილზე გასულ იაპონელ ერი ნაიკავას, ვისაც ჰონოლულუში 2003 წელს უპირველია.

ახლა კაცებზე ვთქვათ და აქ ფავორიტად კენიელი ჯიმი მუინდი ითვლებოდა, ვისაც ჰონოლულუში სარეკორდოდ ბევრი — ხუთი გამარჯვება აქვს მოპოვებული და ამას გარდა, წელს ჩიკაგოს პრესტიჟულ მარათონზე მესამე შედეგი აჩვენა. მუინდი ჰავაიზე მეექვსე ტრიუმფსაც გადაიხდიდა, რომ არა ეთიოპიელი ამბესე ტოლოსა.

მუინდი და ტოლოსა სადღაც 35-ე კილომეტრამდე გვერდი-გვერდ მირბოდნენ, მერე კი ორკილომეტრიანი აღმართი იყო და ეთიოპიელმა კენიელი სწორედ იქ ჩამოიტოვა. ტოლოსამ მოპოვებული უპირატესობა აღარ დათმო, 42 კილომეტრზე 195 მეტრით მეტი მანძილი 21 საათში, 13 წუთსა და 42 წამში გაირბინა და მუინდის 57 წამით აჯობა. მესამე ადგილზე კიდევ ერთი კენიელი ერიკ ვაიაინა გავიდა, ხოლო მის უკან ფინიშის ხაზი გამარჯვებულის თანამემამულემ, არაია ჰარეგოტმა გადაკვეთა.

ჰავაის კუნძულებიდან კონტინენტურ ამერიკაში გადავინაცვლოთ და გასულ უქმეებზე კიდევ ერთი მარათონი ტეხასის შტატის ქალაქ დალასში ჩატარდა. ყველაზე საინტერესო ის გახლავთ, რომ ქალაქში, სადაც 43 წლის წინათ ჯონ კენედი მოკლეს, ჰონოლულუს დარად რუსმა დიაცმა იმარჯვა და დენისოვასი არ იყოს, სვეტლანა პონომარენკომაც ტრასის რეკორდი დაამყარა — დალასის ქუჩებში 2 საათში, 29 წუთსა და 55 წამში გაირბინა ზემოთ არაერთხელ ნახსენები 42,195 კილომეტრი და ძველი რეკორდი, რომელიც კიდევ ერთ რუსს, ოღონდაც კანადის სახელით მოასპარეზე ლუდმილა კორჩაგინას ეკუთვნოდა, 8 წამით გააუმჯობესა.

აბა, სად გაგონილა, მიყოლებით ორი მარათონი ჩატარდეს და კენიელმა ერთიც ვერ მოიგოს. ასე არ ხდება ხოლმე და, რადგანაც ჰონოლულუში მუინდის ეთიოპილმა აჯობა, დალასში პირველობა მაინც კენიელს, კერძოდ კი მოზეს კეროროიას დარჩა, რომელმაც სტარტიდან ფინიშამდე მანძილი 2 საათში, 12 წუთსა და 3 წამში დაფარა და წუთითა და 10 წამით აჯობა მეორე ადგილზე გასულ უკრაინელ ევგენი ბოჟკოს.

კრივი

# ოდლი და ქილა ერბო



ოდლი ჰარისონი (მარჯვნივ) დენი უილიამსის გალახვამ დიდ გულზე დააყენა

**პროფესიონალური** კრივის მძიმე წონაში, თითქოს მანამდე ცოტა ყოფილიყოს, კიდევ ერთი ყოყლოჩინა გამოჩნდა — საუბარი ბრიტანელ ოდლი ჰარისონზეა. სპორტულ კარიერაში ამ კაცის უმაღლესი მიღწევა სიდნეის ოლიმპიადის ოქროს მედალია. აი, პროფესიონალურ კრივში კი ჯერჯერობით ღირებული არაფერი უქნია, მაგრამ პირი უკვე მოაღო და თავის ამბიციებზე ხმამაღლა გაჰყვირის კიდეც.

თურმე ნუ იტყვით, ჰარისონს უკვე ყველაფერი დაგეგმილ-გაწერილი აქვს — 2007-ში ერთ-ერთ ქამარს მოიპოვებს, მერე კი ყველას გაერთიანებასა და აბსოლუტურ ჩემპიონობას შეეცდება.

მკითხველმა შეიძლება იკითხოს, რისი იმედი აქვს ბრიტანელ მუშტის მქნევლსო, ხოდა, უნდა მოგახსენოთ, რომ ჰარისონი ასე დენი უილიმასის დამარცხებამ გაათამამა. ეს ბრძოლა გასულ უქმეებზე შედგა და იქ ბრიტანელმა მართლაც კარგაც იჩხუბა — მეტოქეს მესამე რაუნდში ისეთი აპერკოტი ამოსცხო, რომ უილიამსი ველარ ადგა.

მართალია, კრივის სამყაროში ვერც უილიამსი დაიკვეხნის დიდი სახელითა და ავტორიტეტით, რომ მისი დამარცხებით საკუთარ თავზე წარმოდგენა ასე გაზრდოდა, მაგრამ ამ გამარჯვების შემდეგ, მხოლოდ ორი დღე თუ გავიდა და, როგორც ხედავთ, ჰარისონმა თავისი ზრახვები ასე საქვეყნოდ გამოფინა.

უახლოეს მომავალში ბრიტანელის მიზანი ვლადიმირ კლიჩკო ყოფილა — ის სწორედ უკრაინელის გამოწვევას აპირებს.

მაგრამ ჰარისონის ამ მიზანს ასრულება ალბათ არ უწერია, რადგანაც საეჭვოა, მასთან ჩხუბი თვითონ კლიჩკომ ინდომოს. შიშის გამო კი არა, უბრალოდ, მაშინ როცა უკრაინელს ქამრების გაერთიანებაზე შეუძლია იზრუნოს და ოლეგ მასკაევთან მის ბრძოლაზე დაიწყო კიდეც საკმაოდ სერიოზულად საუბრები, ძნელი წარმოსადგენია, ჰარისონის წინააღმდეგ მოუნდეს რინგზე გასვლა. მით უმეტეს, რომ კლიჩკოს ტიტულის სავალდებულო დაცვა არ ესაჭიროება.

მოკლედ, ბატონ ჰარისონს თავისი ამბიციების ასრულება თუ უნდა, მაშინ მზერა სხვებზე უნდა გადაიტანოს.

**ბახა ლომაშვილი**

ჰოკეი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## NHL რეგულარული ჩემპიონატი

11 დეკემბერი

**ვაშინგტონი 4:5 პიტსბურგი**

*2:0 2:3 0:1 0:0 (0:1 ბულიტები)*

1:0 ბიჩი (6), 2:0 კლარკი (6), 3:0 კლარკი (23), 4:0 ლაიხი (26), 4:1 ტალბოტი (27), 4:2 კრისტენსენი (39), 4:3 კროსბი (39), 4:4 მალკინი (44)

**კოლორადო 5:2 კაროლინა**

*1:0 0:1 4:1*

1:0 არნასონი (2), 1:1 უილიამსი (22), 1:2 უილიამსი (42), 2:2 ბრიუნეტი (49), 3:2 ლაილსი (51), 4:2 საკიკი (53), 5:2 ტარჟონი (57)

**სან ხოსე 4:0 ფინიქსი**

*1:0 2:0 1:0*

1:0 მიხალეკი (19), 2:0 ბერნიე (36), 3:0 პაველსკი (38), 4:0 კ. ბრაუნი (45)

# ბიჭმა ბიჭი შეაქო

**სანამ** გუშინდელი შეხვედრების მიმოხილვაზე გადავალთ, გასული კვირის საუკეთესო სამეულზე შევჩერდეთ — ეს პატივი „ნიუ ჯერსის" კარის დარაჯ მარტინ ბროდოს, „ტამპას" ცენტრ ვინსენ ლეკავალიესა და „ვაშინგტონის" სუპერსნაიპერ ალექსანდერ ოვეჩკინს ერგოთ.

ამ სამეულიდან უპირველესად ბროდო ცნეს, რომელსაც გასულ კვირას ფანტასტიკური სტატისტიკა ჰქონდა — საშუალოდ 0,65 შაიბას უშვებდა და დარტყმების 97 პროცენტს იგერიებდა. აგრერიგად მოთამაშე მეკარის წყალობით „ნიუ ჯერსიმ" წინა კვირის სამივე შეხვედრა მოიგო.

ლეკავალიემაც სამი მატჩი ითამაშა, რომლებშიც ოთხ გატანილ გოლს სამი შედეგიანი გადაცემა დაურთო. „ტამპას" ლიდერმა ყველაზე იღბლიანად „ატლანტასთან" ითამაშა, რომელსაც ჰეთ თრიქი „მიუძღვნა".

ასევე შვიდი ქულა დააგროვა ოვეჩკინმა, მაგრამ რუსმა მხოლოდ ერთი შაიბის გატანა მოახერხა. მისგან განსაკუთრებით „ოტავა" დაზარალდა, როცა ერთბაშად სამჯერ გაატანინა პარტნიორებს.

გუშინდელი დღის უმთავრესი ინტრიგა კი გასული წლის ორი საუკეთესო ახლაბედის — ოვეჩკინისა და სიდნი კროსბის ჯახი იყო. მაგრამ ისე გამოვიდა, რომ ამ დუელში გამარჯვებული წლევანდელი ახალბედა, „პიტსბურგის" რუსი ტალანტი ევგენი მალკინი გამოვიდა.

ისე, შეხვედრა სამივე ახალგაზრდა ვარსკვლავმა უმაღლეს დონეზე ჩაატარა და ორ-ორი ქულა მოიხვეჭა — ოვეჩკინმა ამჯერადაც ფლეიმეიქერობა იკისრა და ორჯერ მიეხმარა პარტნიორებს მეტოქის კარის დალაშქვრაში. აი, კროსბიმ და მალკინმა შედეგიან გადაცემებს თითო გოლიც მიუმატეს, ხოლო ამ უკანასკნელმა ბოლოს გადამწყვეტი ბულიტიც გაიტანა და თავის გუნდსაც მოაგებინა.

ბულიტებამდე „პინგვინებმა" გვარიანი სასწაული გამოაცხვეს, როცა 4-გოლიანი ჩამორჩენა აღმოფხვრეს — თავიდან ყველაფერი „ვაშინგტონის" სცენარით წარიმართა და დედაქალაქელები მეორე პერიოდის შუაწელზე ანადგურებდნენ კიდეც მეტოქეს, მაგრამ სწორედ აქ ათამაშდნენ „პიტსბურგის" ლიდერები, პლუს მეკარე მარკ-ანდრე ფლერიმაც კარს ბოქლომი დაადო და მესამე პერიოდის დასაწყისში ანგარიში გათანაბრდა. განსაკუთრებით მალკინის გოლია გამოსაყოფი (სეზონში მეთექვსმეტე), რომელიც ნამდვილი შედევრი გახლდათ.

ბულიტებში ოვეჩკინმა კროსბის კი აჯობა და გაიტანა, მაგრამ პიტსბურგელები მაინც უფრო ზუსტნი იყვნენ — გადამწყვეტი კი, როგორც მოგახსენეთ, მალკინის გასროლა გახლდათ.

„კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ბრძოლა ნებისმიერ შემთხვევაში ბოლომდეა საჭირო. დღეს მაგრად ვიყოჩაღეთ... ევგენი მართლაც უნიკალურია — თავისი პირველი ბულიტი ისე უემოციოდ შეასრულა, თითქოს ვარჯიშზე ყოფილიყოს. მეკარესთან პირისპირ ის თითქმის შეუდარებელია" — ასე აქებდა ნამატჩევს 19 წლის კროსბი 20 წლის მალკინს.

„კაროლინა" კი აგრძელებს უაღრესად უიღბლო ვოიაჟს დასავლეთ კონფერენციაში — სტენლის თასის მოქმედმა მფლობელებმა ზედიზედ მეოთხე მატჩი წააგეს. ამჯერად „ქარიშხლებმა" დენვერში დაყარეს ფარ-ხმალი. არადა, მესამე პერიოდის დასაწყისში ჩემპიონები ჯასტინ უილიამსის დუბლის წყალობით იგებდნენ კიდეც, მაგრამ შემდეგ ოთხი უპასუხო შაიბა გაუშვეს და სეზონში ყინულზე პირველად გასულ კორი სტილმანს დაბრუნება ჩაუშხამეს.

დღის მესამე შეხვედრაში „სან ხოსემ" ადვილად გადაუარა მაჩანჩალა „ფინიქსს".

**ბახა ლომაშვილი**


კოლორადოელთა მეკარე პეტერ ბუდაი ყინულზე დაფრინავდა



# მერაბ მეტრეველი ნაკრების მწვრთნელია

## ზაზა დოლიძემ ორი სკამი იუარა



**ახალი** ამბავი ქართულ ხელბურთში — ვაჟთა ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ზაზა დოლიძემ, რომელიც იმავდროულად თბილისის მერიის სპორტის სამსახურის უფროსიცაა, ორი თანამდებობის შეუთავსებლობის გამო ნაკრების გაძღოლაზე უარი განაცხადა. ამას გარდა, სწორედ მეტრეველი წვრთნიდა იმ ნაკრებს, რომელმაც წლეულს ივნისში, პოლონეთის ქალაქ გდანსკში გამართულ ჩემპიონატზე მეორე ადგილი დაიკავა და ის გუნდი, ერთი-ორი მოთამაშის დამატებით, ფაქტობრივად, საქართველოს ეროვნული ნაკრები იყო.

გუშინ შედგა საქართველოს ხელბურთის ასოციაციის პრეზიდიუმის სხდომა, რომელზეც დაკმაყოფილდა დოლიძის განცხადება გადადგომის შესახებ და გადაწყდა, რომ ნაკრების მთავარი მწვრთნელის ფუნქციას შეასრულებს მერაბ მეტრეველი, რომელიც მანამდე დოლიძის მოადგილე იყო.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ვაჟ ხელბურთელთა ნაკრებს იანვარში 2008 წლის ევროჩემპიონატის საკვალიფიკაციო შეჯიბრი ელის ლატვიის, რუმინეთისა და ბულგარეთის გუნდებთან.

**გია ახალაძე**

ჩემპიონთა ლიგა. ვაჟები

მეოთხედფინალის წილისყრა

# ლიგამ კენჭი ყარა

## კილის იღბლიანი წილი

**გუშინ** ვენაში, ევროპის ხელბურთის ფედერაციის შტაბბინაში შედგა ვაჟთა კლუბების ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის წილისყრა.

გუნდები ასე დაწყვილდნენ:

**სიუდად რეალი** (ესპანეთი) — **პორტლენდ სან ანტონიო** (ესპანეთი)
**ვალიადოლიდი** (ესპანეთი) — **გუმერსბახი** (გერმანია)
**ფლენსბურგ-ჰანდევიტი** (გერმანია) — **ბარსელონა** (ესპანეთი)
**ვესპრემი** (უნგრეთი) — **კილი** (გერმანია)

ეტყობა, ყველაზე მწვავე იქნება თანამემამულეების, ლიგის ამჟამინდელ ჩემპიონ „სიუდად რეალისა" და ექსტრიუმფატორ „პორტლენდ სან ანტონიოს" დაპირისპირება. საინტერესო უნდა იყოს ლრი ესპანურ-გერმანული დაპირისპირებაც, ხოლო მესამე გერმანულ გუნდს, „კილს" აშკარად გაუმართლა — მეტოქედ შედარებით სუსტი უნგრული „ვესპრემი" ერგო.

თამაშები გაისად, თებერვლის ბოლოს და მარტის დასაწყისში გაიმართება.

ჭადრაკი

# ჭადრაკს ახალი პრეზიდენტი ეყოლება



ზურაბ აზმაიფარაშვილი კიდევ ერთხელ აპირებს პრეზიდენტობას

**23 დეკემბერს** ჭადრაკის ფედერაციაში საპრეზიდენტო არჩევნებია.

კანდიდატი კი რვაა: რომან სიჭინავა, ვახო ბოჭორაძე, თამარ ხმიადაშვილი, დათო კალმახელიძე, კახი შალამბერიძე, სიკო გეგიაძე, აკაკი იაშვილი და ფიდეს ვიცე-პრეზიდენტი ზურაბ აზმაიფარაშვილი.

არჩევნებამდე პრეზიდენტის მოვალეობას ერთ-ერთი კანდიდატი აკაკი იაშვილი შეასრულებს.

მთამსვლელობა

# პასუხი კითხვაზე: რა დაგიკარგავთ მთაში?

**რატომ** ადიხართ მწვერვალებზე, რა დაგიკარგავთ მთაში, რისთვის იგდებთ სიცოცხლეს საფრთხეში? ასეთი კითხვებით ხშირად მიმართავენ ალპინისტებს, ოღონდაც საეჭვოა, მსგავსი კითხვები გასჩენოდა მას, ვინც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში მოწყობილ ფოტოგამოფენა „მთები და ადამიანები" იხილა.

უკვე ტრადიციად დამკვიდრებულ გამოფენას ამავე უნივერსიტეტის გიორგი ნიკოლაძის სახელობის მთამსვლელთა კლუბი და სპორტული ცენტრი რამდენიმე წელიწადია აწყობს და იგი მრავალ დამთვალიერებელსაც იზიდავს. მისი მთავარი ორგანიზატორი უნივერსიტეტის ფიზიკოსი, ნახევარგამტართა პრობლემური ლაბორატორიის გამგე, დოცენტი შოთა მირიანაშვილი გახლავთ. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი შოთა მირიანაშვილი თავის დროზე ალპინიზმში საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი იყო, პარალელურად კი უნივერსიტეტის ათასობით სტუდენტი აზიარა მთამსვლელობას და ამ საქმეს ახლაც ძველებური ენთუზიაზმით უძღვება. იგი ამავე დროს სტუდენტთა ფოტოხელოვნებაში დაოსტატებისთვისაც ზრუნავს, რისი დასტურიც „მთები და ადამიანები".

— წლევანდელ გამოფენაზე თითქმის სამასამდე ფოტო იყო წარმოდგენილი — გვეუბნება *შოთა მირიანაშვილი* — ამ სურათებზე ასახული იყო საქართველოს მთელი მთიანეთი: სვანეთისა თუ ყაზბეგის რაიონის მწვერვალები, რაჭისა თუ თუშეთის მთები, მათზე მოლაშქრე მთამსვლელები, იქაურ მთიელთა ყოფა-ცხოვრება, ფლორა და ფაუნა... მათი ავტორები იყვნენ არა მხოლოდ უნივერსიტეტის სტუდენტები, არამედ ისინი, ვინც [illegible] ნათ ჩვენი უნივერსიტეტი დაამთავრეს. გამოფენის მონაწილენი იყვნენ აგრეთვე აქაური პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც ამავდროულად გიორგი ნიკოლაძის სახელობის მთამსვლელთა კლუბის წევრები არიან და ალპინიზმი თუ ფოტოგრაფიაც იტაცებთ.

მთების ფოტოგრაფი პროფესორ-მასწავლებლებისა და მათი სტუდენტების ნამუშევრებში ძალუმად იგრძნობა არა მხოლოდ ფოტოგრაფიის, მთებისა და მთამსვლელობის, არამედ, რაც მთავარია, სამშობლოს სიყვარული. ეს ტრადიციული გამოფენა კი ემსახურება საზოგადოებაში ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებას და პატრიოტული გრძნობის გაღვივებასაც. ამიტომაც „მთები და ადამიანები" უფრო ფართო აუდიტორიასა და ტრიბუნასაც იმსახურებს...

**ავთანდილ ჭყვიშელი**



მთის თხილამურობა

# მთელი ევროპა რაიტერალში ეტევა

**მერამდენედ** ვწერთ და თქვენც მერამდენედ კითხულობთ, მაგრამ ამ გლობალურ დათბობას ვეღარ გავექეცით — ევროპაში დეკემბრისთვის არნახულად თბილა, ალპებში თოვლის ნასახიც კი არ ჩანს და მთის მოთხილამურეთა თუ ზამთრის სხვა, თოვლიანი სახეობების წარმომადგენლებს გვარიანი პრობლემები აქვთ შექმნილი.

მსოფლიოს თასის ორგანიზატორები ტვინს იჭყლეტენ, რომ როგორმე საბოლოოდ არ ამოვარდნენ გრაფიკიდან და როგორღაც თოვლის მოსვლამდე მიაღწიონ.

ამ უქმეებზე შვეიცარიულ სენტ-მორიცსა და ფრანგულ ვალ-დიზერში გასამართი ეტაპები ავსტრიულ რაიტერალმში ჩატარდება — ასეთი გადაწყვეტილება მიიღო მოთხილამურეთა საერთაშორისო ფედერაციამ და არც გაემტყუნება — რაიტერალმში ცოტაოდენ ბუნებრივ თოვლს ხელოვნურიც დაამატეს, გასულ უქმეებზე იქ კაცთა სუპერკომბინაცია ჩატარდა და ეტაპების მთლად გაუქმებას, ნაცად ადგილზე ჩატარება სჯობს. კერძოდ კი, რაიტერალმში პარასკევს სენტ-მორიცში დაგეგმილი ქალთა სუპერკომბინაცია გაიმართება, ხოლო შაბათს — ასევე ქალთა სუპერგიგანტი, რომელიც თავდაპირველი გეგმებით ვალ-დიზერში უნდა ჩატარებულიყო.



ავსტრიული რაიტერალმი მთის მოთხილამურეთა მხსნელად იქცა

ბიატლონი

# ჰოხფილცენის მოკლე წრე

**მთის** მოთხილამურეთა ანალოგიური პრობლემები აქვთ ბიატლონისტებსაც და ამიტომაც სლოვაკურ ოსრბელში გასამართი მსოფლიოს თასის მესამე ეტაპი ავსტრიულ ჰოხფილცენში გადაიტანეს, სადაც გასულ უქმეებზე მეორე ეტაპი ჩატარდა.

ასე კი მოხდა, მაგრამ მსოფლიო ბიატლონის შეფებს ასპარეზობის პროგრამაში ერთი ცვლილების შეტანა მაინც მოუხდათ, რადგანაც ოსბრლესა და ჰოხფილცენის სარბოლო ტრასებს შორის სიგრძეში განსხვავებაა.

წინასწარი პროგრამით სლოვაკეთში კაცთა 20 კილომეტრზე ინდივიდუალური რბოლა უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ ამ სახეობას უფრო გრძელი ტრასა სჭირდება, ვიდრე ჰოხფილცენში მომზადებული 3,3 კილომეტრიანი წრეა. ამიტომაც მსოფლიოს თასის ორგანიზატორებმა 20 კილომეტრზე ინდივიდუალური რბოლის ნაცვლად, ჰოხფილცენური ეტაპის პროგრამაში 10 კილომეტრიანი სპრინტი შეიტანეს.

**ოთარ მხეიძე**

# დამსჯიან და წავალ

## ნახევარი მილიონი ლენდისისთვის დიდი ფულია



„თუ ანტისადოპინგო სააგენტო დამნაშავედ მცნობს და დისკვალიფიკაციას მომცემს, საერთოდ წავალ სპორტიდან“ — აცხადებს წლევანდელი „ტურ დე ფრანსის“ მომგები, მაგრამ დოპინგის ხმარებაში ეჭვმიტანილი ამერიკელი ველომრბოლი ფლოიდ ლენდისი.

ლენდისის უპრესტიჟულესი ველოტურის მომგები კი გახლავთ, მაგრამ ჩემპიონად აღიარებას ვერ მოესწრო, რადგან „ტურ დე ფრანსის“ დამთავრებისთანავე მის სისხლში დოპინგტესტმა მამაკაცური ჰორმონი, ტესტოსტერონი დაშვებულზე მეტი ოდენობით აღმოაჩინა და ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი ველოსკანდალიც აგორდა.

ლენდისის სასამართლო ჯერ არ ყოფილა და მისი ბედი უცნობია. ველომრბოლი აქამდე მხოლოდ იმას ამბობდა, მომეცით საშუალება, ჩემი ალალმართლობა დავამტკიცოო, ახლა კი სულ სხვა რამ განაცხადა: „ჩემი პროცესი 2007 წლის დასაწყისში უნდა გაიმართოს და თუ ანტისადოპინგო სააგენტო დამნაშავედ მცნობს, საერთოდ წავალ სპორტიდან. ყველამ იცის, ველოსამყაროში ყველაზე მაღალანაზღაურებადი სპორტსმენი არ ვყოფილვარ და ნახევარმილიონიანი ჯარიმა ჩემთვის იოლი გადასახდელი არ არის. ამასთან, 31 წლის ვარ და 4-წლიანი დისკვალიფიკაცია თუ მომისაჯეს, ლოდინს არ დავიწყებ“.

**კოტე ყორშია**

# დამიანო კუნეგო ლამპრეში რჩება

**თანამედროვე** ველოსპორტის ერთ-ერთმა ყველაზე ნიჭიერმა მრბოლმა, იტალიელმა დამიანო კუნეგომ ბოლოს და ბოლოს მიიღო გადაწყვეტილება და თავის გუნდთან „ლამპრე-ფონდიტალთან“ ახალი კონტრაქტი გააფორმა, რომლის ძალითაც 25 წლის ველოსიპედისტი იტალიურ ველოგუნდში 2009 წლამდე დარჩება.

2004 წელს, 23 წლის ასაკში კუნეგომ „ჯირო დიტალია“ მოიგო და მასზე, როგორც მომავლის მრბოლზე ალაპარაკდნენ. დიდ წარმატებას ჩავარდნა მოჰყვა — 2005 წელს კუნეგომ სახეირო ვერაფერი გააკეთა, მაგრამ წლეულს ისევ გააქტიურდა და „ტურ დე ფრანსზე“ საუკეთესო ახალგაზრდა მრბოლის სარგო თეთრი მაისური მოირგო. ურთულეს ალპდუზის ეტაპზე კუნეგო მეორე იყო ფინიშთან და ამას გარდა ლიეჟი-ბასტონი-ლიეჟის ერთდღიანი კლასიკური რბოლაც პოდიუმზე დაასრულა.

ახალგაზრდა იტალიელისგან უკვე მომავალ სეზონში ელიან ახალ დიდ წარმატებებს და „ლამპრეც“ თავის გეგმებს, სწორედ კუნეგოს უკავშირებს.



# მსპანელებმა სეკვესტრი იუარეს



იგნასიო აიუსო

**ამ ცოტა ხნის** წინათ „პრო-ტურის“ სერიის ხელმძღვანელებმა UCI-ს (ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირი) თავკაცებთან შეთანხმებით წამოაყენეს წინადადება, რომ ველორბოლის სამყაროს სამი უდიდესი რბოლიდან ერთ-ერთის, კერძოდ კი ესპანური „ვუელტას“ ხანგრძლივობა სამი კვირიდან ორ კვირამდე შემცირებულიყო. მიზეზად ის ითქვა, რომ „ვუელტა“ სექტემბერში, თითქმის „გერმანიის ტურის“ დასრულებისთანავე და „პოლონეთის ტურის“ პარალელურად იმართება და აჯობებდა, ესპანური სუპერრბოლის შეკვეცის ხარჯზე ველოსიპედისტებს გერმანიაში, ანდა პოლონეთში გამოსვლის შესაძლებლობა მისცემოდათ.

„პრო-ტურის“ სერიის ბოსებს თავიანთი მიზნები კი აქვთ, მაგრამ ესპანელები სულ სხვაგვარად ფიქრობენ. „ვუელტას“ საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტმა იგნასიო აიუსომ შემოთავაზება კატეგორიულად იუარა და ხაზგასმით განაცხადა, რომ UCI-სა და „პრო-ტურის“ ხელმძღვანელობასთან არავითან დათმობაზე არ წავა, ხოლო ველოსიპედისტებმა თავად გადაწყვიტონ, თუ რომელი რბოლაა მათთვის მნიშვნელოვანი.

ისიც სათქმელია, რომ „ვუელტას“ შეფებს ფრანგული და იტალიური სუპერრბოლების — „ტურ დე ფრანსისა“ და „ჯირო დიტალიას“ თავკაცებიც ეთანხმებიან და ნაკლებად სავარაუდოა, „პრო ტურის“ ხალხმა ამ სამ ვეშაპთან ჭიდაობა შეძლოს.

**გია მუჯირი**





# ბორგმა მიურეი დაინახა

**საჩოგბურთო** სამყაროში სიწყნარე რომაა და იანვრამდე არაფერი მოხდება, კარგადაა ცნობილი. მაგრამ ჩოგბურთის სპეციალისტებმა აღარ იციან, რა ქნან და რითი დაკავდნენ, ამიტომ ახალ-ახალი „გენიალური“ იდეები თუ პროგნოზები გამოაქვთ დღის სინათლეზე.

ამჯერად ლეგენადრული ბიორნ ბორგის პროგნოზებს გაგაცნობთ, რომლის მიხედვითაც შვედი ახალგაზრდა ბრიტანელ ენდი მიურეის დაუდგა ადვოკატად — დიადი სკანდინავი სწორედ ამ ჯეელ სკოთში ხედავს როჯერ ფედერერის უმთავრეს კონკურენტს.

ბიორგს მიაჩნია, რომ მიურეის სულ მალე შეუძლია, პირველი ჩოგანი გახდეს. 11 სლემტურნირის მომგები შვედის თქმით, ეს „სულ მალე“ შეიძლება, სულაც მომავალ სეზონში დადგეს:

„მიუერის პროგრესის ყურება მართლაც საინტერესო იქნება. „მხიარულ როჯერს“ ეს ბიჭი უკვე მომავალ წელს გაანერვიულებს. აქვე შეგახსენებთ, რომ ენდიმ შვეიცარიელი წლეულს ცინცინატიში დაამარცხა. მგონი, როჯერი საჩოგბურთო ოლიმპზე დიდხანს ველარ გაჩერდება“ — განაცხადა ბორგმა.

შვედმა ასევე აღნიშნა ბრიტანეთში ჩოგბურთისადმი გაზრდილი ინტერესი და ამის უმთავრეს მიზეზად სწორედ მიურეის წარმატებები დაასახელა. ბორგს სჯერა, რომ „ნისლიან ალბიონზე“ მალე ახალგაზრდა ვარსკვლავი გამოჩნდება.

ბოლოს შვედი ლეგენდა ალბათ მიხვდა, რომ ცოტა ზედმეტი მოუვიდა და თავისი ინტერვიუ ეცნაურად დაასრულა:

„სანამ როჯერს მოტივაცია აქვს, მისი დამარცხება ძნელია. ვფიქრობ, მწვერვალზე რამდენიმე წელი კიდევ გაჩერდება (არადა, სულ სხვა რამეს არ ამბობდა?). ახლა ის დიდებულად ირჯება. მას სუსტი წერტილი თითქმის არ აქვს“.

მოკლედ, ბორგის ამ პროგნოზებში გარკვევა თქვენთვის მოგვინდვია.

**კახა ლომაშვილი**

# დამპატიჟეთ!

## გუსტავო კუერტენი კორტს უბრუნდება

**ცხრათვიანი** შესვენების შემდეგ კორტს უბრუნდება ექს-პირველი ჩოგანი, ბრაზილიელმა გუსტავო კუერტენი. სამხრეთამერიკელი თურმე გამალებით ემზადება და ავსტრალიის ღია პირველობაზე თამაშს აპირებს:



„ახლა არჩევანის წინაშე ვარ — წლის დასაწყისში ან ავსტრალიაში უნდა წავიდე, ან ბრაზილიის ჩელენჯერებში ვითამაშო“.

ისე, კუერტენის დაბრუნება რამდენად იღბლიანი იქნება და მით უმეტეს, რამდენ ხანს გასტანს, ძნელი სავარუდოა. კორტს გარეთ ყოფნისას ხომ ბრაზილიელმა უკვე ბიზნესშიც მოსინჯა ძალები და მოდაშიც. ახლა კი როგორ გაანაწილებს დროს თავის საქმიანობასა და სპორტს შორის, ვერავინ იწინასწარმეტყველებს.

თვითონ კუერტენი იმედიანადაა და მისივე თქმით, ძველი ფორმის აღსადგენად, ძალებს არ დაიშურებს, თუმც შეძლებს თუ არა ავსტრალიაში თამაშს, უცნობია — ამ წუთისთვის გუგა რეიტინგში 1079-ეა და სიდნეის კორტებზე ვერანაირი წესით ვერ მოხვდება. სამხრეთამერიკელის ერთადერთი იმედი ისაა, ტურნირის ორგანიზატორები „უაილდ ქარდს“ თუ უბოძებენ, ანუ უფრო გასაგებ ენაზე რომ ვთქვათ, დაპატიჟებენ:

„კარგი იქნება, ავსტრალიაში თამაშის საშუალება რომ მომეცეს. მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელთა გვერდიგვერდ ყოფნა სასიამოვნო იქნებოდა. ეს დამატებითი მოტივაცია იქნება, ჩემი საუკეთესო თამაში რომ ვაჩვენო“ — განაცხადა გუგამ.

**კახა ლომაშვილი**


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge.
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge